



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების
ს/ს ინსტიტუტი



დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტი
გერმანული ფილოლოგიის კათედრა
თარგმანმცოდნეობის კათედრა
საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute for Translation and Literary Relations
Institute of Western European Languages and Literature
Department of German Philology
Department of Translation Studies
Goethe - Institute Georgia

**პროფესორ დალი ფანჯიკიძისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია**

**SCIENTIFIC CONFERENCE
dedicated to Prof. Dali Panjikidze**

თეზისები/Abstracts

ივნისი 29-30 June
2023

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი
პროფესორი ინესა მერაბიშვილი
პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე
ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი
განათლების მეცნიერებების დოქტორი ზურაბ ბოლქვაძე
დოქტორანტი ირინა ნოზაძე
დოქტორანტი ანა ჯიქია

Organizing Committee:

Professor Nana Gaprindashvili
Professor Innes Merabishvili
Professor Lali Ketsba-Khundadze
Assoc. Professor Ekaterine Navrozashvili
Doctor of Philology Nino Popiashvili
Doctor of Education Sciences Zurab Bolkvadze
Doctoral student Irina Nozadze
Doctoral student Anna Jikia

*მასაღებში დაცულია ავტორების სტილი.
In the proceedings the authors' style is retained.*

მარინა ანდრაზაშვილი
Marina Andrazashvili

უარყოფითად კონოტირებული საკუთარი სახელები
და მათი ტრანსფერი
Proper Names of Negative Connotation and the Issue
of their Transfer

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზუდ მეცნიეჰებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საკუთარი სახელი, უარყოფითი კონოტაცია,
იმპლიციტურობა, წინარეცოდნა, აფიქსოიდები.
Keywords: proper name, negative connotation, implicit nature, background
knowledge, affixoids.

წინამდებარე პუბლიკაცია ეძღვნება უარყოფითი/პე-
ორატიული კონოტაციის ენობრივი ფენომენის კვლევას
უარყოფით ემოციებთან მიმართებით პროპრიალურ ლექ-
სიკურ ერთეულებზე, კერძოდ, გერმანულენოვან ანთროპო-
ნიმებსა და ტოპონიმებზე, როგორც საკუთარ სახელთა სუბ-
კლასის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებზე დაყ-
რდნობით; გაშუქებული იქნება ფენომენი, ერთი მხრივ,
უარყოფითი კონოტაციის იმპლიციტურად შემცველ პროპ-
რიალურ ერთეულებში, მეორე მხრივ კი, უარყოფითი აფექ-
სოიდებით მარკირებულ ლექსემებში; ანალიზი, იმავდროუ-
ლად, შეეხება ამ ტიპის სახელთა რეალიზებას ტექსტში და
მათი გადატანის სირთულეებს ამოსავალი ენიდან სამიზნე
ენაზე.

ნებისმიერი ლინგვისტური ლექსიკონი საკუთარი სა-
ხელის დეფინირებისას წინ წამოწევს მის უპირველეს თვი-
სებას, სახელდების გზით გამოყოფს ამა თუ იმ ტიპის საგან-
თა სიმრავლიდან/თემატური ჯგუფიდან ერთი კონკრეტუ-
ლი საგანი და მოახდინოს მისი *იდენტიფიციჩება*. საგულის-
ხმოა, რომ ეს პროცესი შესაძლებელია დარჩეს მხოლოდ
კატეგორიზების დონეზე ისე, რომ არ შეეხოს სახელის თვი-
სობრივ დახასიათებას – *ინდივიდუალიზებას*; მაგ., ტოპონიმი
ჰაიდელბერგი კატეგორიზების დონეზე გვანჯდის ინფორმა-
ციას: *ქადაქი გეჰმანიაში* ან, უფრო ზედმიწევნით, *ქადაქი*
ბუნდესლანდ ბადენ-ვიუხტემბერგში; მაგრამ, მეორე მხრივ,
ინდივიდუალიზებაზე დაყრდნობით აქვს, იმავდროულად,
სიმბოლიზაციის უნარი და გვანჯდის დენოტატის შესახებ
დამატებითი ინფორმაციას, განურჩევლად მოცემული მო-
მენტისთვის მისი რელევანტურობა-არარელევანტურობი-
სა; კერძოდ, *ჰაიდელბერგთან* ასოცირდება მარკერები – *საუ-
ნივერსიტეტო ქადაქი, კლინიკების ქადაქი, გეჰმანიის დამაზ*
ქადაქთა ნუსხაში შეგანილი ქადაქი; ამათგან პირველი ორი
გამოირჩევა ობიექტურობითა და ემოციური ნეიტრალო-
ბით, მესამე კი უკავშირდება ცალსახად გამოხატულ დადე-

ბით ემოციას, რომელიც შესაბამისად კონტექსტისა. შეიძლება იყოს ობიექტური ან სუბიექტური ხასიათის, ან ერთდროულად მოიცავდეს ორივე მომენტს. ობიექტურია კონოტაცია, თუ ის საყოველთაოდ აღიარებულია, დავუშვათ საენციკლოპედიო სტატიაში, საცნობარო ლიტერატურაში მოხსენიებული; სუბიექტურია, თუ ის უკავშირდება უშუალოდ ინდივიდის პირად ასოციაციებს, თუნდაც მისი სენტიმენტები არ იყოს ობიექტურ საფუძველს მოკლებული. დადებითი ობიექტური კონოტაციის ცალსახა ნიმუშებია: ბაიხოთი – ვაგნერის ქალაქი, ჰამბუხგი – კლასიკური ჩრდილოური რენესანსის მარგალიტი, ღესაუ – ბაუჰაუზის ქალაქი, ბაგენ-ბაგენი – ფეშენებელური საკურორტო ქალაქი და ა.შ. აშკარად ობიექტური უარყოფითი კონოტაციის მქონეა, მაგალითად, ბანანის *ხესპუბიკა*, მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ავტოკრატიულობისა და კორუფციის სიმბოლოდ; გერმანიის ქალაქებიდან უარყოფითი კონოტაციისაა – მაგრამ რესტრიქტიულობაზე დაყრდნობით/აღმოსავლეთ გერმანიის უფროსი თაობის პირთათვის – გდრ-ის რეჟიმის დროინდელი ბაუცენი, როგორც შინაგანი დამსჯელობითი ორგანოების საპყრობილეებისა და პოლიტპატიმრების ქალაქი.

დადებითი თუ უარყოფითი კონოტაციები ზემოგანხილული პროპრიალური ლექსიკური ერთეულებისთვის ითვლება იმანენტურად, რის გამოც ისინი ვერ ზემოქმედებენ სახელის ტრანსფერზე გრაფოფონემურ დონეზე; ხოლო სახელში იმპლიცირებული სტაბილური თუ ლატენტური კონოტაციური მახასიათებლების ამოცნობა მთლიანად მინდობილია ინდივიდის ერუდიციაზე, მის წინარეცოდნაზე. ნათქვამი ასევე ვრცელდება ისტორიული მნიშვნელობის პირთა სახელებზე.

მეორე კატეგორიაში გაერთიანებული ნეგატიურად კონოტირებული სახელების ამოცნობა დამოკიდებულია ამოსავალი ენის ფლობაზე; გერმანულში პეიორატიული

კონოტაციისაა, მაგალითად, ჰაინი, ფიცი (მიღებული სახელებიდან ჰაინეჰი, ფიცი), რომელნიც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულის სახით იხმარება, როცა ვინმეს აგდებით მოიხსენიებენ: *Du bist mir vielleicht ein Heini!* (აფიქსოიდის სახით იხ. მომდევნო პუნქტი).

მესამე კატეგორიაში შემავალი ნეგატიური/პეიორატიული კონოტაციის გამომხატველი სახელები ნაწილობრივ სისტემურობით ხასიათდება, რამდენადაც ისინი ექვემდებარება კომპოზიციას მყარ ენობრივ მოდელზე დაყრდნობით; ნაწილობრივ კი საკომუნიკაციო მოტივითაა შეპირობებული, რამდენადაც ახდენს მოშველიებული ონიმური ელემენტის მოტივაციას; ასეთია: ა) *ჰოფესიის აღმნიშვნელი სახედი + სუფიქსიდი -heini/-fritze*: *Zeitungsheini*, *Werbeheini*, *Reklameheini*, *Versicherungsheini* / *Zeitungsfristze*, *Werbefritze*, *Reklamefristze*, *Versicherungsfristze* და ა.შ.; ბ) *თვისების აღმნიშვნელი ზედსახთავი სახ. + ანთიჰოპონიმი* (ხშირად *-lise/-suse* მედრ. სქესისთვის; *-hans/-peter/-fristze* მამრ. სქესისთვის): *Bummellise*, *Heulsuse* / *Faselhans*, *Struwelpeter*, *Bummelfritze* და ა.შ.

ნაშრომში საგანგებოდაა გაანალიზებული ბოლო ორ კატეგორიაში შემავალ სახელთა ნეგატიური კონოტაცია (დამცირების, აბურად აგდების, დაცინვის სემა) და ამ სახელთა რეალიზაცია ტექსტში; საკითხის დასმის დონეზე/-საპოლემიკოდ შემოთავაზებულია ასევე მათი ქართულად გადმოტანის შესაძლო/სავარუდო ვერსიები.

ლიტერატურა:

- Bering, Dietz (1987): *Der Name als Stigma. Antisemitismus im deutschen Alltag 1812–1933*. 3. Aufl. 1992. Rudolstadt: Greif-Bücher.
- Bauer, Gerhard (1996): *Übertragungsformen zwischen Eigennamen und Gattungsnamen*. In: *Namenforschung. Ein internationales*

- Handbuch zur Onomastik. (Hg.): Ernst Eichler et all. 2. Teilband. Berlin/New York: Walter de Gruyter. S. 1616–1621.
- Duden online: <https://www.duden.de/woerterbuch> (31.05.2023).
- Seibicke, Wilfried (2002): Vornamen. Hg. von der Gesellschaft für deutsche Sprache Wiesbaden. 3. Aufl. Frankfurt a. M. Seibicke, Wilfried (1982): Die Personennamen im Deutschen. Berlin/New York.
- Stolze, Radegundis (2008): Übersetzungstheorien. Eine Einführung. 5. Auflag. Tübingen: Narr Studienbücher.

The paper focuses on the language phenomenon of negative/pejorative connotation with regard to negative emotions on the example of proper lexical units, namely, German anthroponyms and toponyms as the most vivid examples of the subclass of proper nouns. The paper covers the above phenomenon, on the one hand, with reference to the proper names with implicit negative connotation, and, on the other hand, with reference to the lexemes marked with negative affixoids. The analysis also embraces realization of such nouns in the text and the difficulties of their transfer from the original into the target language.

When defining a proper noun, any linguistic dictionary will underline its capacity to name and *identify* a concrete object from the multitude of objects/thematic group. This process may embrace only the level of *categorization*, without describing the quality of the name, i.e. *individualization*. For instance, on the level of categorization, the toponym *Heidelberg* provides the following information: *a city in Germany*, or, to be more precise, *a city in Bundesland Baden-Wxrtemberg*. On the other hand, based on individualism, it is capable of turning into a *symbol* providing additional information about the denotat, despite its relevance-irrelevance for the given moment; namely, *Heidelberg* is associated with the following markers – *a University town, a*

city of clinics, a city included in the list of beautiful places of Germany. Out of these, the first two are objective and emotionally neutral, whereas the third is related to a definitely positive emotion, which, according to the context, may be either objective or subjective, or both simultaneously. Connotation is objective if it is universally recognized, for instance, given in the encyclopedia, mentioned in the reference literature; connotation is subjective if it is related to personal associations of an individual, even if his/her sentiments are based on objective grounds. Examples of positive objective connotation are: *Bayreuth* – Wagner’s town, *Hamburg* – the pearl of classical Northern Renaissance, *Dessau* – Bauhaus city, *Baden-Baden* – a fashionable resort and so on. A purely negative connotation is found in the following examples: *Banana Republic*, a symbol of autocracy and corruption. Out of German cities, a negative connotation is found in *Bautzen*, however, it is restricted to the older generation of Eastern Germany, reminding them of the regime of the German Democratic Republic, a city of internal penitentiary bodies, prisons and jails for political prisoners.

For the above-mentioned proper lexical units, positive and negative connotations are considered immanent, therefore, they do not affect the transfer of these names on the graphophonemic level. Identification of stable or latent connotative features implicit in the name depends on an individual’s erudition, background knowledge. The above-mentioned also refers to the names of historical persons.

Identification of names with a negative connotation included in the second category depends on language competence. In German, pejorative names are *Heini*, *Fritze* (obtained from proper names *Heiner*, *Fritz*), used as independent lexical units to refer to someone in a derogatory way: *Du bist mir vielleicht ein Heini!* (in the form of an affixoid; see the paragraph below).

The names with a negative connotation (derogatory, pejorative) included in the third category are partially systemic; they are based on a stable pattern, and, partly, conditioned by communicative aims, since they motivate a homonymous element. For instance: a) *names denoting a profession + suffixoid -heini/-fritze*: Zeitungsheini, Werbeheini, Reklameheini, Versicherungsheini / Zeitungsfritze, Werbefritze, Reklamefritze, Versicherungsfritze etc; b) *qualitative adjective + anthroponym* (pfen -lise/-suse for the feminine gender; -hans/-peter/-fritze for the masculine gender): Bummellise, Heulsuse / Faselhans, Struwwelpeper, Bummelfritze and so on.

The paper makes a special focus on the negative connotation of names under the last two categories and their realization in the text. The paper also suggests possible versions of the transfer of these names into the Georgian language

References:

- Bering, Dietz (1987): *Der Name als Stigma. Antisemitismus im deutschen Alltag 1812–1933*. 3. Aufl. 1992. Rudolstadt: Greif-Bücher.
- Bauer, Gerhard (1996): *Übertragungsformen zwischen Eigennamen und Gattungsnamen*. In: *Namenforschung. Ein internationales Handbuch zur Onomastik*. (Hg.): Ernst Eichler et al. 2. Teilband. Berlin/New York: Walter de Gruyter. S. 1616–1621.
- Duden online: <https://www.duden.de/woerterbuch> (31.05.2023).
- Seibicke, Wilfried (2002): *Vornamen*. Hg. von der Gesellschaft für deutsche Sprache Wiesbaden. 3. Aufl. Frankfurt a. M. Seibicke, Wilfried (1982): *Die Personennamen im Deutschen*. Berlin/New York.
- Stolze, Radegundis (2008): *Übersetzungstheorien. Eine Einführung*. 5. Auflag. Tübingen: Narr Studienbücher.

დავით ბარბაქაძე
Davit Barbakadze

ფილოსოფიური პოეზიის ტოტალური
ავტონომიზაცია: რ. მ. რილკე
The Total Autonomisation of Philosophical Poetry:
R. M. Rilke

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
Tbilisi State Academy of Art

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფიური პოეზია, რ. მ. რილკე.
Keywords: Philosophical Poetry, R. M. Rilke.

რაინერ მარია რილკეს პოეტური შემოქმედება არა მხოლოდ აგრძელებს გერმანული ფილოსოფიური პოეზიის კლასიკურ ხაზს, არამედ მისი შემოქმედება აგვირგვინებს კიდევ ამ გზას. რილკეს შემოქმედებაში სწორედ კონცეპტუალურისა და სისტემურის პოეტიკურად მოწესრიგებული მთლიანობა იქცევა პოეზიისა და ფილოსოფიის სრული ურთიერთპარმონიზების უზრუნველმყოფელ პლატფორმად. მაგრამ გერმანული ფილოსოფიური პოეზიის კლასიკური ხაზის დიალექტიკური განვითარების პროცესში რილკეს რეალური დამსახურება ბევრად მნიშვნელოვანი, მეტიც, რევოლუციურია. ამ რევოლუციის შინაარსი კი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს, ფილოსოფიური კონცეპტების სისტემური მხატვრული დამუშავების ან ამა თუ იმ თემის მხატვრულ-ფილოსოფიური კონცეპტუალიზაციის ნაცვლად, პოეზიის ველზე ისეთი ავტონომიური ფილოსოფემების შექმნა-დამუშავებაში, როგორებიც XX საუკუნემდე მხოლოდ ფილოსოფიის ველზე იქმნებოდა. მეტიც, რილკე უარს ამბობს კლასიკური ფილოსოფიურ-ლოგიკური აპარატით, ფილოსოფიური ტექნიკითა და ფილოსოფიური არგუმენტაციებით აღნიშნული ფილოსოფემების დამუშავებაზე, იგი პირნპირ დად პოეტური და პოეტიკური არსენალის სისტემური გამოყენების პრაქტიკას იცავს. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ რილკემ **სისტემური პოეზია** შექმნა არა როგორც მოაზროვნემ (ფილოსოფიური გაგებით), არამედ – სწორედ როგორც პოეტმა (რაც იყო კიდევ მისი პროგრამული მიზანი, „დუინურ ელეგიებში“ სრულად რომ რეალიზდა). შესაბამისად, ფილოსოფოსისა და პოეტის შეპირისპირების კლასიკურ – გოეთესა და შილერის მიერ პოეტისთვის უპირატესობის მიმნიჭებელ – ტრადიციაში წრე სწორედ რილკეს შემოქმედებით იკვრება. გერმანულ ფილოსოფიურ პოეზიაში რილკეს პოეზიის კიდევ ერთი რევოლუციური თავისებურება ის არის, რომ მის მიერ შექმნილი ყველა ფილოსოფიური კონცეპტი ფილოსოფემებად გარდაიქმნება. ამ ტრანსფორმა-

ციის უზრუნველყოფელი, პირველ ყოვლისა, რილკეს პოეზიის სისტემურობაა. სისტემურად გამთლიანებულ მის პოეტურ სამყაროში სწორედ ერთმანეთთან ყველა ელემენტის ორგანული კავშირი აქცევს ცალკეულ კონცეპტებს ფილოსოფემებად.

The classical line of German philosophical poetry is not only continued by Rilke's poetic work, but also brought to an end. In Rilke's work, precisely that poetically ordered/regulated wholeness of the conceptual and the systematic is thus founded as the basis from which the perfect mutual harmony of poetry and philosophy is ensured. But Rilke's real merit in the process of dialectical development of classical German philosophical poetry is much more important, even revolutionary. The quintessence of this revolution, in our opinion, lies in the following: Instead of working on philosophical concepts systematically-artistically or conceptualising any themes artistically-philosophically, Rilke creates and works on autonomous philosophical themes in the field of poetry, which until then (and until the 20th century in general) had been found exclusively in the field of philosophy. Much more: Rilke refrains from working on these philosophical themes with the classical philosophical-logical instruments or with the help of philosophical technique and philosophical arguments. Instead, he programmatically and systematically uses purely poetic and poeticist instrumentalities. One could even say that Rilke created **systematic poetry**. He did so not in the function of a thinker (in the philosophical sense), but as a poet (which he precisely understood to be his task, and realised impeccably in the "Duino Elegies"). Rilke's new way of writing poetry has thus closed the circle in the classical tradition of opposing philosophy and poetry (starting with the programmatic manifestations and practice in Goethe and Schiller in favour

of poetry). Another peculiarity is that Rilke's innovative contribution to German philosophical poetry is shown by the fact that philosophical concepts written by him are transformed into philosophemes. This transformation is ensured, first and foremost, by the systematic character of his poetry, in which all concepts are interconnected and interdependent. In his systematically constructed and unified poetic world, each individual concept is transformed into a philosopheme through the organic connection and interrelation of all elements.

ნაირა ბეპიევი
Naira Bepiev

საკუთარ სახელთა თარგმანის სპეციფიკისათვის
ნართების ეპოსში
For the Specifics of the Interpretation of Proper Names
in the Nart Epic

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
Scientific Research Center of Georgian-Ossetian Relations

საკვანძო სიტყვები: ოსური ენა, ქართული ენა, ნართების ეპოსი.
Keywords: Ossetian language, Georgian language, Nart Epic.

ოსური ფოლკორული საგანძური, ნართების ეპოსი, მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ძეგლია. მრავალი კითხვა არსებობს ამ ეპოსის მითიურ გმირთა სახელების სპეციფიკასთან დაკავშირებით. ზოგადად, იგივე პრობლემაა ნართი ღვთაებების სახელწოდებების თარგმნის სხვადასხვა ვარიანტის გამო. ქართულ ენაზე თარგმნის დროს პარალელურად იხმარება: ვასთირჯი/ვასტირჯი/ვასგირგი/ვაშგირგი; ავსათი/აფსათი; ფალვარა/ ფალვარა; ელია/ილია; და სხვ.

ასევეა ეპოსის გმირ-მამაკაცთა საკუთარ სახელებთან დაკავშირებით: ვხრხზმაგი/ ურუზმაგი; ბათრაძი/ბათრაზი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნართების დიასახლისის, ამ ეპოსის ერთ-ერთი გმირი ქალის, სათანას სახელის თარგმნა. ოსურში ის იკითხება - სათანა (Сатана). ქართულში ანალოგიურად იწერება და იკითხება (სათანა). რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში ის იწერება როგორც (Сатана) სატანა. ამის გამო საკითხი სპეციალისტთა ფართო მსჯელობის საგანია. ერთნი კატეგორიულად წინააღმდეგნი არიან რუსულ ენაზე აბსოლუტურად მიუღებელი ტერმინით (სათანა) ამ სახელის თარგმანისა. მეორეთა აზრით, ეს შეიძლება შეიცვალოს ოსური ენის ერთ-ერთ დიალექტში ნახმარი ფორმით შატანა (Шатана).

ამ საკითხზე მსჯელობისას ჩვენ ვითვალისწინებთ, უპირველესად, ოსური სალიტერატურო ენის ტრადიციას, ამავე დროს, გარკვეულ ანგარიშს ვუნევთ სხვა ენებზე თარგმნის შესაძლებლობათა ზღვარსაც.

The treasure of Ossetian folklore, the Nart Sagas, is an interesting and noteworthy monument in many ways. There are many questions regarding the specifics of the names of the

mythical heroes of these Sagas. In general, the same problem arises because of the different variants of translation of the names of the Nart deities. When translating them into Georgian, the following versions are used simultaneously: ვასთირჯი/ვასტირჯი/ვასგირგი/ვაშგირგი; ავსათი/ავსათი; ფალვარა/ფალვარა; ელია/ილია, and others.

The same is the case with the names of the male heroes of the Sagas: ვსრხზმაგი/ურუზმაგი; ბათრადი/ბათრაზი.

Special attention is paid to the translation of the name of Satana, the housewife of the Narts, one of the heroines of these Sagas. In Ossetian it is read - Satana (Сатана). In Georgian it is written and read similarly (სათანა). In Russian translations it is written as Сатана. Because of this, this issue is the subject of wide debate among specialists. Some are categorically against the translation of this name into the Russian language with an absolutely unacceptable term (Сатана). According to others, it can be replaced by the form Shatana (Шатана) used in one of the dialects of the Ossetian language.

When discussing this issue, we take into account, first of all, the tradition of the Ossetian literary language. At the same time, we take into account the limits of translation into other languages.

ლევან ბრეგაძე
Levan Bregadze

ადეკვატურობის პრობლემა თარგმანში
(თომას მანის რომანის „ავანტიურისტ ფელიქს კრულის
აღსარების“ დალი ფანჯიკიძისეული თარგმანის
მიხედვით)

Adequacy Problem in Translation
(According to the Translation of Thomas Mann's Novel
“Confessions of Felix Krull, Confidence Man”
by Dali Panjikidze)

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ადეკვატურობის პრობლემა, თომას მანი,
დალი ფანჯიკიძე.

Keywords: translation, adequacy problem, Thomas Mann, Dali Panjikidze.

ყოველი ახალი რომანის დაწერა ჩემთვის გერმანული ენის შესაძლებლობების გენერალური დათვალიერება არისო, – წერს ერთგან თომას მანი. შესაბამისად, თომას მანის რომანების ქართულად თარგმნა ქართული ენის შესაძლებლობების გენერალური დათვალიერება უნდა იყოს ხელოვანი მთარგმნელისათვის. დალი ფანჯიკიძე – პრაქტიკოსი მთარგმნელი და თარგმანის თეორეტიკოსიც, ამავე დროს - სწორედ ხელოვანი მთარგმნელია, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ორიგინალის ენობრივი თავისებურებების ადეკვატურად გადმოტანას მიმღებ ენაზე.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მას თომას მანის რომანების ქართულად თარგმნის სფეროში. დალი ფანჯიკიძეს თომას მანის სამი რომანი აქვს თარგმნილი და გამოცემული: „ბუდენბროკები“ (პირველი გამოცემა 1970 წ.), „ჯადოსნური მთა“ (პირველი გამოცემა 1978-1984 წწ.) და „ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარება“, რომელიც ჯერ ჟურნალ „საუნჯეში“ დაიბეჭდა 1990 წელს, ხოლო შემდეგ წიგნადაც გამოიცა ორჯერ - 1995 და 2008 წლებში. ამ რომანის დალი ფანჯიკიძისეული თარგმანის რამდენიმე ღირსებაზე ვისაუბრებთ ჩვენს მოხსენებაში. ყურადღებას გავამახვილებთ იშვიათად ხმარებული სიტყვების, ნეოლოგიზმების, კომპოზიციების, იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების ქართულად გადმოტანის ოსტატობასა და იმაზე, თუ როგორ ემსახურება ამათთვის ადეკვატური ქართული შესატყვისების დაძებნა თომას მანის სტილისთვის დამახასიათებელი თავისებურებების, უპირველეს ყოვლისა, მისი განთქმული ირონიული ინტონაციის შენარჩუნებას ქართულ თარგმანში.

დანვრილებით გავაანალიზებთ რომანის მაღალინფორმაციული ექსპოზიციის თარგმანს, რადგან აქ ნათლად იჩენს თავს თომას მანის - თხრობის დიდოსტატის - წერის მანერის რამდენიმე მთავარი თავისებურება - ზემოთ ნახსენები ირონიულობის გარდა, აზრის ფორმულირების ოს-

ტატობა, ვრცელი ფრაზების კონსტრუირების ხელოვნება, ლექსიკური მრავალფეროვნება.

Writing each new novel for me is a general overview of the possibilities of the German language – writes Thomas Mann. Accordingly, the translation of Thomas Mann’s novels into Georgian should be a general survey of the possibilities of the Georgian language for an artistic translator. Dali Panjikidze – a practicing translator and translation theoretician at the same time – is an artistic translator who takes a great responsibility for adequately conveying the linguistic features of the original in the recipient language.

Special merit goes to Dali Panjikidze in the field of translation for translating Thomas Mann’s novels into Georgian. She has translated and published three novels by Thomas Mann: “Buddenbrooks” (first edition in 1970), “The Magic Mountain” (first edition in 1978-1984) and “Confessions of Felix Krull, Confidence Man”, which was first published in “Saunje” magazine in 1990 and then it was published as a book twice – in 1995 and 2008. In our report we will talk about some merits of Dali Panjikidze’s translation of this novel. We will focus on the skills of translating rarely used words, neologisms, composites, idioms and phraseology into Georgian and how searching for adequate Georgian equivalents serves to preserve the characteristic features of Thomas Mann’s style and, first of all, his famous ironic intonation in the Georgian translation. We will analyze in detail the translation of the highly informative exposition of the novel, since several main features of the writing manner of the great master of narration – Thomas Mann – are clearly visible here – in addition to the irony already mentioned above, the mastery of formulating thoughts, the art of constructing extensive phrases, lexical diversity.

ნანა გაფრინდაშვილი
Nana Gaprindashvili

სამყაროს სოცრეალისტური ხედვის ერთი
თავისებურება: მწერალი ადამიანის სულის
ინჟინერია

**One of the Features of the Social Realist Perspective of
the World: the Writer is an Engineer of the Human Soul**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲდ მეცნიეჲებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*

საკვანძო სიტყვები: პარტიული ხელისუფლება, სოცრეალიზმი, სტალინი.
Keywords: Party government, social realism, Stalin.

პარტიული ხელისუფლების ლიტერატურისადმი მიდგომა ეფუძნებოდა ლენინის ფუძემდებლურ თეზისს: „ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს“, რომელიც მან სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ჩამოაყალიბა. ამ სტატიაში ლენინმა განავითარა მოსაზრება, რომ ლიტერატურას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს პროლეტარიატის ბრძოლასთან, რათა საზოგადოება კომუნისტურად გარდაიქმნას. ლენინის პოზიციამ არსებითად განსაზღვრა სოცრეალიზმის თავისებურებანი, ხელოვნება მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა იდეოლოგიას. მართლაც, ხელოვნება მხატვრული ფორმებით „მოაზროვნე“ იდეოლოგიად, „პარტიული საქმის“ ორგანიზაციულ ნაწილად, მშრომელი მასების იდეოლოგიური და პოლიტიკური განათლებისა და აღზრდის საშუალებად გადააქციეს.

თავისი მიზნების მისაღწევად საბჭოთა სისტემა არც სოციალურ ინჟინერიაზე ამბობდა უარს. მეტიც, სოცრეალიზმის ლიტერატურა პარტიული იდეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი სწორედ სოციალური ინჟინერიის დახმარებით გახდა. ამაზე მეტყველებს „კომუნისმის მშენებელი საზოგადოებისათვის“ კარგად ცნობილი ფორმულა „მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია“. ამ ფრაზის ავტორად მწერალი ი. კ. ოლეშა (1899-1960) სახელდება. ეს იყო იმ პერიოდის შესატყვისი და პარტიული სულისკვთების გამომხატველი ეპოქალური დევიზი. მას ღიად დაუჭირა მხარი სტალინმა და ამან დიდად შეუწყო ხელი, რომ ყველა შესაბამისმა საბჭოურმა ინსტიტუციამ იგი მყისვე მონდომებით აიტაცა, თავის სამოქმედო პროგრამაში ჩართო და მასებამდეც მიიტანა.

ამ პოზიციის მხარდაჭერით სტალინმა მწერლებს უდიდესი მისია დააკისრა კომუნისმის მშენებლობის საქმეში; სოცრეალიზმის ლიტერატურა პარტიული იდეოლოგიის, პროპაგანდის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად წარმოად-

გინა, რომელსაც უნდა გამოეყენებინა მხატვრული სიტყვის ზემოქმედების ძალა და მკითხველის ცნობიერებაში დაემკვიდრებინა პარტიის მიზნები და სულისკვეთება, ახალი „ტექნოლოგიით“ გამოეძერწა და აღეზარდა ახალი, საბჭოთა ადამიანი, რომელიც მხარს დაუჭერდა პარტიას, მის პოლიტიკას და აქტიურად ჩაერთვებოდა კომუნიზმის გამარჯვებისთვის ბრძოლაში. საბჭოთა მწერალს თავდაუზოგავად უნდა ეზრუნა ადამიანის სულის კომუნისტურად გადაკეთებაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ სალიტერატურო კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობაც თავის სამსახურში ჩააყენა. როგორც ლიტერატურას, მასაც ასევე დააკისრა სოცრეალიზმის დოგმების გამოყენების ვალდებულება. ამაზე კარგად მეტყველებს საბჭოთა მწერალისა და ლიტერატორის, ვლადიმირ კირშონის, მოსაზრება. კითხვას: თუ მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია, მაშინ ვინ არის კრიტიკოსი? ვლადიმირ კირშონი ასე უპასუხებს: მე ვფიქრობ, კრიტიკოსიც ადამიანის სულის ინჟინერია. მწერალი ინჟინერ-მშენებელია ან ინჟინერ-კონსტრუქტორი, ხოლო კრიტიკოსი ინჟინერ-კონსულტანტია, ინჟინერ-მიმღები, რომელიც აფასებს პროდუქციას. ასე რომ, ახალი ადამიანის სულის გამოძერწვის მიზნით კრიტიკოსებიც აქტიურად ჩააბეს სოციალური ინჟინერიის ფერხულში.

The Soviet government's approach to literature was based on Lenin's fundamental thesis suggesting that "literature must become party literature" – he formulated this thesis in the article, *Party Organization and Party Literature*. Lenin developed the idea that literature should be closely related to the proletariat's struggles and endeavors to form a truly communist society. Lenin's perspective did determine the characteristics of social realism stipulating that art should have been entirely subordinated

to the party ideology. Indeed, they turned art into a “thinking” ideology, an organizational part of “party deeds”, a means of ideological and political education and upbringing of the working masses.

To realise its ambitions, the Soviet regime also resorted to social engineering - the latter contributed to developing the literature form of socialist realism as one of the most important tools of the party ideology. This was clearly demonstrated in the well-known formula for the “communism-building society”: *The writer is the engineer of the human soul*. This slogan is thought to have belonged to the writer, Y. Olesha (1899-1960). It was an epoch-making motto that corresponded to the existing period and expressed the spirit of the party. Stalin himself embraced the formula, which urged every Soviet institution to immediately adopt the given perspective, include it in their action plans and get it across to the masses.

By supporting this perspective, Stalin assigned writers to accomplish a great mission in the building of communism; he presented the literature of social realism as an important tool of party ideology and propaganda, which, with the powers of the artistic word, was supposed to influence and establish the party goals and spirit in the reader’s consciousness, to sculpt and raise a new Soviet person with new “technology” – the writers were obliged to shape a Soviet person who would actively support the party and its politics and be eagerly involved in the party’s fight for victory. The Soviet writer had to devote him or herself to the transformation of the human spirit into a communist nature.

In a similar manner, the Soviet government turned to literary criticism and literary studies for help – they also were obliged to disseminate the dogmas of social realism. The Soviet writer and literary expert, Vladimir Kirshon’s viewpoint perfectly reflected on the above. His answer to the question – if the writer

is an engineer of a human soul, then who is the literary critic? – was the following: “I believe, the literary critic is also an engineer of a human soul”. Accordingly, a writer was supposed to be a construction engineer or design engineer, and a critic – a consulting engineer, an engineer who was to evaluate the product. So, in order to sculpt a new human spirit, the critics were also actively engaged in social engineering.

ციური გვენეტაძე
Tsiuri Gvenetadze

ქართველები წმინდა მიწაზე „იერიქონის
ვარდების“ მიხედვით
Georgians on the Holy Land according to “Jericho
Roses”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: წმინდა მიწა, ქართული ძეგლები წმინდა მიწაზე,
ქართველების კვალი წმინდა მიწაზე, იერიქონის ვარდები.

Keywords: Holy Land, Georgian monuments on the Holy Land, traces of
Georgians on the Holy Land, Roses of Jericho.

გრიგოლ ფერაძის „იერიქონის ვარდები“ წმინდა მინასა და სირიაში მოგზაურობის დღიურია, რომელიც 1936 წელს დაიწერა.

გრიგოლ ფერაძის დიდი ხნის ოცნება ყოფილა წმინდა მიწაზე მოგზაურობა, რასაც თავადვე აღნიშნავს დღიურის ფურცლებზე. გარდა რელიგიური ფაქტორისა, გრიგოლ ფერაძისთვის უმნიშვნელოვანესია პატრიოტული მოტივით მოგზაურობა ამ ადგილებში. იგი დიდი რუდუნებით ეძებს წმინდა მიწაზე თავისი წინაპრების კვალს, ან უკვე მოძებნილისა და აღმოჩენილის შეფესებას, აღნუსხვას ცდილობს.

წაწარმოებში არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გვხვდება ქართველების წმინდა მიწაზე ყოფნის შესახებ, როგორც ისტორიული, ისე გადმოცემის დონეზე მოღწეული. გრიგოლ ფერაძე თავის დღიურში იხსენიებს არაერთ წყაროსა თუ მეცნიერ-მკვლევარს, იქნება ეს ალ. ცაგარელი, მ. ბროსე, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი თუ სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის შეფასება და დამოკიდებულება იმ ხალხებისადმი, რომელთაც წმინდა მიწაზე ეკუთვნით ყოფილი ქართველთა ეკლესია-მონასტრები, ზოგიერთი ცბიერებით მიტაცებული, ზოგიც - ისტორიული დრო-ჟამის უკუღმართობის გამო მათ საკუთრებაში აღმოჩენილი.

საბოლოოდ, ჩვენ წინაშეა ძალიან საინტერესო, სამშობლოს სიყვარულითა და მისი ამ მდგომარეობაში ყოფნით გამოწვეული ტკივილით აღსავსე ტექსტი, რომელიც უდიდესი ემოციებით ავსებს მკითხველს, ახსენებს ქართველების დიდებულ წარსულს და მათ ყოფას წმინდა მიწაზე. დღიურის ფურცლებს რეფრენად გასდევს იმედი საქართველოს კვლავ აღდგომისა და აღორძინებისა.

Grigol Peradze's "Jericho Roses" is a diary of a trip to the Holy Land and Syria, which was written in 1936.

Grigol Peradze's long-time dream was to travel to the Holy Land, which he himself notes on the pages of his diary. Apart from the religious factor, it is most important for Grigol Peradze to travel to these places with a patriotic motive. He searches for the traces of his ancestors on the Holy Land with great enthusiasm, or he tries to describe and evaluate what was already found.

In the novel, there are many important facts about the presence of Georgians in the Holy Land, both at the level of historical and narrative. Grigol Peradze mentions many sources and researchers in his diary, such as Tsagareli, M. Brose, Patriarch of Jerusalem Dositheos and others.

The author's assessment and attitude towards those peoples who own the former Georgian churches and monasteries on the holy land are especially interesting.

Finally, we have a very interesting text in front of us, which is full of love for the homeland and the pain caused by its being in this condition, which fills the readers with great emotions, reminds them of the glorious past of Georgians and their life on the holy land. The hope for the resurrection and revival of Georgia runs through the pages of the diary as a refrain.

ელენე გოგიაშვილი
Elene Gogiashvili

„აგნეტე და ზღვის კაცი“
XIX საუკუნის დანიურ ფოლკლორსა და
ლიტერატურაში
Agnete and the Merman
in the 19th-century Danish Folklore and Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲუდ მეცნიეჲებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სკანდინავია, ფოლკლორი, ჰანს ქრისტინან
ანდერსენი.

Keywords: Scandinavia, folklore, Hans Christian Andersen.

სკანდინავიური ხალხური ბალადა „აგნეტე და ზღვის კაცი“ დანიურ „ოქროს ხანაში“ – XIX საუკუნეში განსაკუთრებულად პოპულარული იყო. ამ ბალადის სამოცდაათზე მეტი ვარიანტია გავრცელებული და ჩანერილი სკანდინავიის ქვეყნებში, უმეტესობა დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში.

აგნეტე, მშვენიერი ყმაწვილი ქალი, სანაპიროზე შეხვდება ზღვის კაცს, შეუყვარდება, გაჰყვება ზღვის ფსკერზე და შვილებსაც გააჩენს. ერთ დღეს აგნეტე გაიგონებს ზარების რეკვას და სთხოვს ქმარს, გაუშვას ეკლესიაში. ხმელეთზე ამოსულ აგნეტეს აღარ სურს უკან დაბრუნება.

ბალადის სიუჟეტი ერთდროულად მარტივიც არის და რთულიც. დანიურ ლიტერატურულ გადამუშავებებში, როგორებიცაა: იენს ბაგესენის პოემა „აგნეტე ჰოლმეგორიდან“ (1808) და ადამ ოლენშლეგერის ლექსი „აგნეტე“ (1812), დამატებული და შეცვლილია მოტივები. ჰანს ქრისტიან ანდერსენმა 1834 წელს დაწერა ლირიკული დრამა „აგნეტე და ზღვის კაცი“, შემოიყვანა ახალი პერსონაჟები, მოქმედება გადაიტანა ისტორიულ დროში, 1160 წელს, დანიაში, ოდენსეს მახლობლად. პიესა ორჯერ დაიდგა კოპენჰაგენის სამეფო თეატრში და დაიხურა, რადგან სუსტ ნაწარმოებად შეფასდა ანდერსენის თანამედროვე კრიტიკოსთა მიერ.

სულ მალე ანდერსენი კვლავ დაუბრუნდა აგნეტეს თემას, ოღონდ არა ზღვის კაცისა და მოკვდავი ქალის ურთიერთობის თემით, არამედ ზღვის ქალისა და უფლისწულის, არა დრამატურგიული თხზულებით, არამედ ზღაპარ „პატარა სირინოზით“ (1837). მოხსენებაში განხილულია ჰანს ქრისტიან ანდერსენის პიესის ხალხურ ბალადასთან ურთიერთმიმართება და მისი მნიშვნელობა ანდერსენის შემოქმედებაში.

Interest in folk culture peaked during the Romantic period in Denmark. The folk ballad *Agnete og Havmanden* (Agnete and the Merman) and its motifs were popular during the 19th century - Danish 'Golden Age'. This folk song has also spread to neighboring Sweden and Norway, and there are more than seventy records of it. The plot of Danish folk ballad is as follows:

Agnete is walking on the shore. A merman comes up from the sea and asks if she wants to be his lover. She likes that when he wants to lead her to the bottom of the sea. They have children down there. One day Agnete hears the bells ringing. She asks for permission to go to church and gets it. Agnete meets her mother. Suddenly the merman appears. He says that the children long for Agnete. But she replies that she doesn't care and that she won't go back to the sea.

The plot of the ballad is both simple and enigmatic and often expanded in literary adaptations such as *Agnete fra Holmegaard* by Jens Baggesen (1808) and *Agnete* by Adam Oehlenschläger (1812). Hans Christian Andersen likewise inspired by the ballad, reworked its themes into a lyrical drama titled *Agnete og Havmanden* (1834). Andersen added other persons in the plot: Hemming - the fiancé of Agnete, little Christen - Agnete's cousin, a gipsy family and others. The action takes place in Denmark, near Odense, in 1106. The drama was not well-reviewed by critics, being performed only twice at the Royal Theater Copenhagen before it was cancelled.

Hans Christian Andersen, however, after two years, returned to the theme of sea with the figure of the little mermaid with great success. The paper focuses on author's deep relation to folklore, and importance of this folk ballad in the works by Hans Christian Andersen.

გერტ რობერტ გრიუნერტი
Gert Robert Grünert

**მხატვრული ლიტერატურის ქართულიდან
გერმანულად თარგმნის თავისებურებები**
**Peculiarities of Translating Fiction from Georgian to
German**

ჰაინ-ეხფგის მწუხადთა კავშირი
Union of Rhein-Erft

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, თარგმანი, გერმანული ენა.
Keywords: Georgian literature, translation, German language.

ქართულ ლიტერატურას განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი თანაბრად მოიცავს მსოფლიო და დასავლური ლიტერატურების განვითარების ძირითად ტენდენციებს, ეპოქებსა და მიმდინარეობებს. ქართული ლიტერატურა ევროპული და დასავლური ლიტერატურული სამყაროსათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის ფრაგმენტულად ცნობილია სხვადასხვა დროს შესრულებული თარგმანებით, თუმცა ყოველ ახალ ეპოქას ახალი თარგმანები ესაჭიროება.

2015 წელს გერმანიაში გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგია: Anthologie georgischer Lyrik – “Ich aber will dem Kaukasos zu”, Pop Verlag, Ludwigsburg, 2015. ანთოლოგიის გამომცემლები არიან გერტ რობერტ გრიუნერტი და ნინო პოპიაშვილი. მთარგმნელები: ნინო პოპიაშვილი, შტეფი ხოტივარი-იურგენი, ნაირა გელაშვილი, თამარ ზიგერი, შორენა შამანაძე, მაია ლისოვსკი. ანთოლოგიაში შესულია 80-ზე მეტი ავტორის პოეტური ნაწარმოების ახალი, გამოუქვეყნებელი თარგმანები.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ქართული პოეზიის თარგმნის თავისებურებებზე ქართული პოეზიის გერმანულენოვანი ანთოლოგიის მიხედვით.

It equally includes the main trends, eras and epochs in the development of world and western literatures. Georgian literature is fragmentedly known to the European and Western literary world and to a wide circle of readers through translations made at different times, however, every new era needs new translations.

In 2015, an anthology of Georgian poetry was published in Germany: Anthologie georgischer Lyrik – “Ich aber will dem Kaukasos zu”, Pop Verlag, Ludwigsburg, 2015. The publishers of the anthology are Gert Robert Grünert and Nino Popiashvili. Tran-

slators: Nino Popiashvili, Steffi Khotivari Junger, Naira Gelashvili, Tamara Sieger-Popiashvili, Shorena Shamanadze, Maja Lisowski. New, unpublished translations of poetic works of more than 80 authors are included in the anthology. In the report, we will talk about the peculiarities of the translation of Georgian poetry according to the German-language anthology of Georgian poetry.

ნინო დოლიძე
Nino Dolidze

სიურრეალიზმი, როგორც თავშესაფარი
Surrealism as a Shelter

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲდ მეცნიეჲებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სიურრეალიზმი, პოსტმოდერნიზმი, არაბული
პოეზია.

Keywords: surrealism, postmodernism, Arabic poetry.

აჰმად ტაჰამ (1952-) საკუთარ თავზე გამოსცადა ეგვიპტეში გაბატონებული ცენზურის ზეწოლის მთელი სიმძიმე. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ წასვლაზე უარი თქვა. პირველი პოეტური კრებული 1981 წელს გამოაქვეყნა. არაერთი ჟურნალის რედაქციაში იმუშავა (პრესტიჟული ლიტერატურული ორგანოების რედაქტორადაც), თუმცა მისი ბიოგრაფია მაინც იმის მაგალითად იქცა, თუ როგორ ავიწროვებენ შემოქმედის თავისუფლებას ტოტალიტარულ გარემოში.

ტაჰას პოეზიაში სიურრეალიზმის ნიშნები იკვეთება. სიურრეალიზმმა როგორც სახელოვნებო, მხატვრულ-ესთეტიკურმა მიმდინარეობამ პარიზიდან კაიროში მე-20 ს-ის 30-იან წწ-ში ა. ბრეტონთან დაახლოებული ჯ. ჰანინის წყალობით ჩააღწია.

მართალია, პოსტმოდერნიზმმა არაბულ სამყაროშიც ყველა მანამდე არსებული მიმდინარეობა აქტუალური გახადა, თუმცა აშკარაა, რომ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დაწერილ ტაჰას ლექსებში სიურრეალიზმის გამოჩენა პოსტმოდერნიზმის ეკლექტურობით განპირობებული თავისებურება კი არ იყო, არამედ აზრის შეფარვით გამოთქმის საშუალება.

სიურრეალისტური სურათ-ხატებით დამუხტული ეს პოეზია ემოციის დონეზე გადმოგვცემს იმას, რისი გადმოცემაც მედიის ენით ვერ ხერხდება. ასე იკვეთება მხატვრული თარგმანის მნიშვნელოვნება განვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაშიც.

ლიტერატურა:

- ალენი, რ. (2000): Allen, R., *An Introduction to Arabic Literature*. Cambridge University Press.
- სთარქი, პ. (2006): Starkey, P. *Modern Arabic Literature*, Edinburgh University Press.

- შორთი, რ. (2003): Short, R. 'The Politics of Surrealism, 1920-36', in R. Spiteri and D. La Coss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.18-36.
- ტაჰა, ა. (2004): ლექსები „მეთევზე“, „ამბავი“, „არაბესკი“, „უკანასკნელი ცეკვა ანვარ ქამელთან“, არაბულიდან თარგმნა ნ. დოლიძემ, ჟ. „არილი“, #2, გვ. 18-19.
- ტაჰა, ა. (2011): კედლების იმპერიაში გამომწყვდეული პოეტი, ლექსები „კედლების იმპერია“, „გადასახლების ადგილი“, „ოცნება“, ჩანახატი „ამბავი“, არაბულიდან თარგმნა ნ. დოლიძემ, „ქართული მწერლობა“, აპრილი, გვ. 66-69.
- ტაჰა, ა. (1992):48 الطاوله أحمد طه، القاهرة. الهيئة المصرية العامة للكتاب،
<https://alketaba.com/أحمد-طه-ملف-خاص/>

Ahmad Taha (1952-) as a poet tasted on himself all the bitterness of strict censorship in Egypt, but he refused to emigrate to the West. His first poetry collection was published in 1981. He worked in many literary periodicals (as an editor of famous cultural journals as well). In spite of this, his biography has become an example of how the freedom of a creator is repressed in the totalitarian environment.

In the poetry of Ahmad Taha one can notice the signs of surrealism. Surrealism as an artistic and esthetic movement was brought to Cairo in the 30s of the 20th century by George Hanin, who was close to Andre Breton.

It is true that postmodernism made all kinds of previous literary directions important. But it is obvious as well that in the poems written by Ahmad Taha in the 80s and 90s the influence of surrealism appeared not because of the eclecticism of postmodern esthetics, but rather as the possibility to express ideas and thoughts more freely.

This poetry by its surrealistic images tells us about things which are impossible to express through the media language.

So, the importance of artistic translation is clearly represented even in the epoch of highly developed technologies.

References

- Allen, R. (2000), *An Introduction to Arabic Literature*. Cambridge University Press.
- Starkey, P. (2006), *Modern Arabic Literature*, Edinburgh University Press.
- Short, R. (2003), 'The Politics of Surrealism, 1920-36', in R. Spiteri and D. La Coss (eds.), *Surrealism, Politics and Culture* (Hants and Burlington: Ashgate Publishing), pp.18-36.
- Taha, A. (2004): Poems *Fishman, Story, Last Dance with Anwar Kamel*, translated from Arabic into Georgian by Nino Dolidze, Arili, #2, 18-19.
- Taha, A. (2011): Poems *The Empire of the Walls, The place of displacement, Dream, Story*, translated from Arabic into Georgian by Nino Dolidze, "Kartuli Mtserloba", April, 66-69.
- Taha, A. (1992):48 الطاوله، أحمد طه، القاهرة. أعمد طه، الطاوله 48 ، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة. أحمد طه، الطاوله 48 ، <https://alketaba.com/أحمد-طه-ملف-خاص/>

ლელა ებრალიძე
Lela Ebralidze

ლიტერატურული ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა
(ინგლისური და ქართული ენების ბაზაზე)
The Specifics of Translation of Fairy Tales
(On the basis of English and Georgian languages)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზულ მეცნიეხებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული ზღაპარი, სტილის რეპროდუქცია.
Keywords: literary fairy tales, reproduction of style.

მოხსენება ეძღვნება ზღაპრის თარგმნის პრობლემას, კერძოდ, მასში განხილულია ამერიკული ზღაპრების თავისებურებები და ქართულ თარგმანებში მათი ასახვის მეთოდები თუ სტრატეგიები. ემპირიულ მასალად გამოყენებულია ჰელენ დინ ფიშის, ლუიზა მეი ალკოტის, ქეთრინ ფაილის, ჰოვარდ ფაილის, მარჯორი უილიამსის, ები ფილიპს უოქერის, კარლ სენდბერგის, ფრენკ რიჩარდ სტროქტონისა და ლაიმან ფრენკ ბამის ზღაპრები და საკუთარი თარგმანები. აღნიშნული ზღაპრები ლიტერატურული ზღაპრის კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა ხალხურ ზღაპრებთან მათ აერთიანებს მოცემული ჟანრისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები, როგორებიცაა: გამეორება, ტექსტში ჩართული გართმული ლექსები, ეროვნული კოლორიტი, უცხო რეალიები, პერსონაჟების სპეციფიკური სახელები და სხვანი. საანალიზოდ შერჩეული ზღაპრები ერთმანეთისაგან განსხვავდება სტილით, ლექსიკით, განწყობილებით, რიტმით, ინტონაციით თუ მხატვრული სახეებით. ზოგი მათგანი თხრობის სისადავით ხალხურ ზღაპარს უახლოვდება, ზოგი კი მარკირებული ლექსიკითა და ზეანეული სტილით გამოირჩევა; გვხვდება ფილოსოფიური, მსუბუქი იუმორით გაჯერებული, ასევე განსაკუთრებული ზნეობრივი და ესთეტიკური ღირებულების მქონე ზღაპრები.

ამ მხრივ მოცემული ზღაპრები რამდენიმე კატეგორიად დავაჯგუფეთ:

- ზღაპრები, რომლებიც ზეანეული სტილით, მაღალფარდოვანი ლექსიკით ხასიათდება, ხატოვნად აღწერს პერსონაჟთა, განსაკუთრებით მთავარი გმირის, სულიერ სამყაროს. ასეთ ზღაპრებში ბოროტებასა და სირთულეებთან ბრძოლაში მუდამ სიკეთე და სიყვარული იმარჯვებს. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ლუიზა მეი ალკოტის „ყინვის მეფე, ანუ სიყვარულის ძალა“, „წყლის ფერია სახელად ლივლივა“ და ასევე ჰელენ დინ ფიშის „პატარა პრინცესა ტყეში“.

- ხალხური ზღაპრებითა და უძველესი მითებით ნა-საზრდოები ლიტერატურული ზღაპრები, როგორებიცაა: ქეთრინ ფაილის „ჰარკას ამბავი“ (ამერიკული ინდური ზღა-პარი), „რა ოინი უყო კურდღელმა სპილოსა და ვეშაპს“, ები ფილიპს უოქერის „ლურჯი სასახლე“ და „სახლიდან გაქ-ცეულები“.

- ფილოსოფიური, ზნეობრივი შეგონებების შემცვე-ლი და, იმავდროულად, მსუბუქი იუმორით სავსე ზღაპრები, რომლებშიც ავტორი დასცინის სიხარბეს, სიძუნწეს, ამპარ-ტავნებას, ძალადობას, ბოროტებას და, სასხვათაშორისოდ, უბრალოდ გვიყვება პერსონაჟების ფანტასტიკურ თავგადა-სავლებს. ასეთი ზღაპრებია: ფრენკ რიჩარდ სტოქტონის „გზააბნეული დრიადა“, ები ფილიპს უოქერის „დოროთი და პორტრეტი“, მარჯორი უილიამსის „ხავედის კურდღელი“ და ლაიმენ ფრენკ ბამის „მამა დროის დამჭერი“, „მანდარინი და პეპელა“ და „მძარცველების სკივრი“.

- ექსცენტრული ზღაპრები ნონსენსის ელემენტებით, რომლებიც გამოირჩევა ხშირი გამეორებებითა და სევდა-ნარევი იუმორით. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ჰოვარდ ფა-ილის „ჰანს ჰეკელმენის ბედი“, კარლ სენდბერგის „ამბავი ბლიქსი ბიმბერისა და ოქროსფერი ირმის ტყავის ვინ-ჩერის ჯადოსნური ძალისა“, „ამბავი რეგს ჰაბაკაკისა, ორი ლურჯი ვირთხისა და ცირკის მსახიობისა, რომელმაც ნაღ-დით გადაიხადა“ და სხვანი.

სტილისტური თვალსაზრისით ერთმანეთისაგან გან-სხვავებული ზღაპრების თარგმანების განხილვა განსა-კუთრებით საინტერესო უნდა იყოს. აქ გავიხსენებთ პროფ. დალი ფანჯიკიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მთარ-გმნელისათვის სასურველი ინდივიდუალური სტილის ქონა კი არა, ავტორის სტილის რეპროდუქციაა, რასაც თავადაც ვეთანხმებით. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სტილით დაწერილი ტექსტების თარგმნა მთარგმნელისაგან სხვა-დასხვა მეთოდისა და სტრატეგიის გამოყენებას მოითხოვს.

ამ მოხსენებაში შევეცდებით, წარმოვაჩინოთ, თუ როგორ მოხერხდა ავტორის მიერ გამოყენებული მხატვრული საშუალებების ფუნქციური კომპენსაციის გზით გადმოტანა ქართულ თარგმანში. მსჯელობისას ტექსტის შინაარსის ანალიზისა და თარგმანების დედანთან შედარებითი ანალიზის მეთოდებს ვიყენებთ.

შედარებით მეტი ძალისხმევა დასჭირდა ზეანეული ელფერით, მარკირებული ლექსიკით გამორჩეული ზღაპრების თარგმნას, რომლებშიც პერსონაჟთა სახეები და მათი სულიერი სამყარო ხატოვნადაა აღწერილი. აქ მნიშვნელოვანი იყო დედნის ესთეტიკურ-ემოციური ეფექტის თარგმანში გადმოტანა. ცალკე ამოცანას წარმოადგენდა ზღაპრებში ჩართული გართმული ლექსების თარგმნა.

ასევე საკმაოდ რთული აღმოჩნდა სადა, მსუბუქი, მაგრამ ფილოსოფიური, თავისებური მელანქოლიური იუმორით აღბეჭდილი ზღაპრების თარგმნა. მსგავს ტექსტებზე მუშაობისას გასათვალისწინებელია, რომ სინტაქსის უბრალოება და ლექსიკის სიმარტივე არ ნიშნავს პრიმიტიულობას და რომ მნიშვნელოვანია ნაწარმოების განწყობისა და ქვეტექსტის გადმოცემა. აღსანიშნავია მწერლის მიერ გამოგონილი, არაარსებული სიტყვები, რომელთა რეფერენტის წარმოდგენაც მკითხველის ფანტაზიაზე დამოკიდებული. ასეთ შემთხვევებში ტრანსლიტერაციის მეთოდი მოვიშველიეთ, თუმცა მაინც მოგვინია გარკვეული უხერხულობების გადალახვა.

სათარგმნად ყველაზე მარტივი, ბუნებრივია, ხალხურ ზღაპართან მოახლოებული, სადა ენით დაწერილი ზღაპრებია, რომლებშიც სიუჟეტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტორის წერის მანერა ან განწყობა.

ჩვენთვის ასევე საყურადღებო საკითხია პერსონაჟთა სახელების, ტიტულებისა და მიმართვის ფორმების გადმოტანა, რომელთა მიმართ უცხოური ელფერის შენარჩუნების პრინციპით ვიხელმძღვანელებთ.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზღაპრის, როგორც ჟანრის, და მისი თარგმანის სპეციფიკის შესწავლისას სხვა ნყაროებთან ერთად დიდად დაგვეხმარა პროფ. დალი ფანჯიკის მონოგრაფია „თარგმანის თეორია და პრაქტიკაში“ ცალკე თავად შეტანილი „ზღაპრის თარგმნის სტილისტიკა“, რომელშიც მოცემულია საგულისხმო დაკვირვებები და ზღაპრის თარგმნისას აუცილებლად გასათვალისწინებელი პრინციპები.

The present paper addresses the problem of translating fairy tales, particularly, it deals with the peculiarities of American fairy tales and the methods and strategies of their conveyance in translation. As empirical material, we use fairy tales by Helen Dean Fish, Louisa May Alcott, Katharine Pyle, Howard Pyle, Margery Williams, Abbie Phillips Walker, Carl Sandburg, Frank Richard Stockton and Lyman Frank Baum and our own Georgian translations. They fall into the category of literary fairy tales; however, with folk tales they share the common characteristics of the genre, such as repetition, rhymed verses inserted in texts, local color, foreign realia, characters' specific names, etc. The fairy tales analyzed in this paper differ from one another in style, vocabulary, mood, rhythm, intonation and literary portraits. Some of them are characterized by simple narration, which makes them sound like folk tales, others use stylistically marked language and are written in elevated style; still others are philosophical tales noteworthy for their light humor and moral and aesthetic value.

Based on their qualities we divided the fairy tales into the following categories:

- Tales written in elevated style, characterized by high-flow language and figurative descriptions of characters, especially the inner world of the main heroes. In them, love and kin-

ness always defeat the evil and overcome all kinds of barriers. Such fairy tales are *The Frost-King: or, the Power of Love*; and *Ripple, the Water Sprite* by Louisa May Alcott, also *The Little Princess in the Woods* by Helen Dean Fish.

- Literary tales based on folk tales and ancient myths, such as *The Story of Harka (An American Indian Tale)*; and *How the Elephant and the Whale were Tricked* by Katharine Pyle; and *The Blue Castle* and *The Three Runaways* by Abbie Phillips Walker.

- Philosophical, moral and, at the same time, humorous tales mocking greed, stinginess, arrogance, violence, evil, and using a simple language to retell about the fantastic adventures of their heroes. Such fairy tales are *The lost Dryad* by Frank Richard Stockton; *Dorothy and the Portrait* by Abbie Phillips Walker; *The Velveteen Rabbit* by Margery Williams; *The Capture of Father Time*; *The Mandarin and the Butterfly*; and *The Box of Robbers* by Lyman Frank Baum.

- Eccentric tales with elements of nonsense marked by frequent repetitions and melancholic humor. This category includes *Hans Heckelmann's Luck* by Howard Pyle; *The Story of Blixie Bimber and the Power of the Gold Buckskin Whincher*; *The Story of Rags Habakuk, the Two Blue Rats, and the Circus Man Who Came with Spot Cash Money* and other tales by Carl Sandburg.

It is interesting to analyze the fairy tales that differ stylistically. Here we would like to recall Prof. Dali Panjikidze's suggestion that a translator is not expected to have his or her individual style, since a translator's task is to reproduce the author's style, with which we totally agree. Respectively, a translator has to use different methods and strategies when translating the texts with different styles. In this paper, we try to demonstrate how the literary devices used by the authors were transferred into the Georgian translation through the functional

compensation strategy. In our argumentation, we use the methods of content analysis and comparative analysis of translations with the originals.

With regard to difficulty, it should be noted that we had to put the most effort into the translation of the tales distinguished by elevated style, stylistically marked language and figurative terms describing the characters and their inner world. In such cases, it was important to reproduce the aesthetic and emotional effect of the original in translation. In addition, special mention should be made of the rhymed verses inserted in texts.

Another challenge was the translation of simple, though philosophic tales marked by specific, melancholy humor. While working on such texts it should be considered that the simplicity of syntax and vocabulary does not mean primitiveness and it is important to convey the mood and subtext of the original. We also need to mention the nonsense words invented by the author, whose referents have to be imagined by the readers. For transferring such words we used the method of transliteration, however, we still had to put some effort to avoid awkwardness.

Naturally, the simple tales showing likeness to folk tales were the easiest to translate. This category comprises the tales whose plot is more important than their mood or style.

We also find the issue of transferring the characters' names, titles and forms of address worthy of attention, as in this regard we follow the principle of maintaining the foreignness of names and titles.

We should make a special mention of the monograph *Translation Theory and Practice* by Dali Panjikidze, particularly, its chapter *Stylistics in Translation of Fairy Tales* containing significant observations and principles for the translation of fairy tales, which, along with other sources, has proved to be very useful for our research.

არპად ელემი
Árpád Éles

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი უნგრული თარგმანი
ეპოსური ტრადიციის კუთხით უნგრულ
ლიტერატურაში
Hungarian Epic Traditions in the First Translation of
The Knight of the Panther's Skin

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჰუდ მეცნიეჰებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, ქართულ-უნგრული
ურთიერთობები.

Keywords: The Knight of the Panther's Skin, Georgian-Hungarian relations.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანის ისტორია ქართულ-უნგრული ურთიერთობების მნიშვნელოვან თავს – მიხაი ზიჩის შემოქმედებას საქართველოში უკავშირდება. მას შემდეგ, რაც ზიჩი საქართველოდან სახლში, ლახთაში, დაბრუნდა, მას უნგრელი ეთნოლოგი ბელა ვიკარი ესტუმრა და ახალგაზრდა უნგრელმა სწორედ მხატვრის რჩევით გადაწყვიტა, რომ ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ეს ამბავი გურამ შარაძის კვლევების წყალობითაა ცნობილი. მაგრამ რა თავისებურებები აქვს ვიკარისეულ თარგმანს უნგრული ლიტერატურის კონტექსტში? მოხსენება სწორედ რომ ამას აანალიზებს და იმასაც, თუ რომელმა პოეტურ-ეპიკურმა ტრადიციამ მოახდინა ყველაზე ძლიერი გავლენა ვიკარის ენაზე.

The story of the Hungarian translation of Rustaveli's work is closely connected to the illustrations of Mihály Zichy, who opened an important chapter in the Georgian-Hungarian relations. After a while he returned home from Georgia, a Hungarian ethnographer, Béla Vikár (1859 – 1945 წ.) paid him a visit in his country house in Lachta. Due to Georgian Guram Sharadze's research, the fact is widely known that Zichy was the person who suggested Vikár to translate Rustaveli's story into Hungarian. But what are the literary characteristics of the first translation? The presentation summarizes these attributes compared with traditions in the Hungarian epic literature.

თამარ ვეფხვაძე
Tamar Vepkhvadze

პროტესტანტიზმი, როგორც ახალი „ევროპეიზმი“
„გარდამავალი ხანის“ ქართულ მწერლობაში
Protestantism as a New “Europeanism” in the Georgian
Writing of the “Transitional Period”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Social and Political Sciences

საკვანძო სიტყვა: პროტესტანტიზმი, ესთეტიკა, ფილოსოფია, ლირიკა,
თარგმანი.

Keywords: Protestantism, aesthetics, philosophy, lyrics, translation.

ძველიდან ახალი ქართული ლიტერატურისაკენ „გარდამავალი ხანა“ (მე-18 – მე-19 საუკუნეთა მიჯნა), მე-19 საუკუნეში ბურჟუაზიული ქართული კულტურის შექმნით და საბოლოო დამკვიდრებით დაგვირგვინდა. დიდი აღმავლობა განიცადა ახალმა ქართულმა ლიტერატურამ და საზოგადოებრივმა აზროვნებამ, ხელოვნებამ და მეცნიერებამ. ახალი ქართული ჰუმანისტური და დემოკრატიული კულტურა, უპირატესად, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების, საკუთარი მოწინავე ტრადიციების განვითარების საფუძველზე წარმოიშვა, მაგრამ მისი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას მეზობელ თუ შორეულ ხალხებთან. ახალი ქართული კულტურის დამკვიდრების პროცესი საკუთარი და უცხოური კონსერვატიზმის თანდათანობით დაძლევის გზით მიმდინარეობდა.

ქართული მწერლობის „გარდამავალი ხანა“, ფაქტობრივად, ძველი მწერლობისათვის დამახასიათებელ მრავალ ლიტერატურულ თემას ავითარებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „გარდამავალი ხანის“ პოეტებს ლიტერატურული თვალსაზრისით ბევრი ახალი არ შეუქმნიათ.

„გარდამავალ ხანაში“ მრავალი ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები შეიქმნა, რომელთაც ქართული რომანტიზმის წარმომადგენლებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, ყველაზე საყურადღებო მაინც იყო დასავლეთ ევროპული თუ რუსული თარგმნილი ლირიკა. ლირიკის თარგმანები უფრო ცხადად ავლენს სხვა ხალხთა მწერლობის ეროვნული ადაპტაციის ფორმებს (ნიშანდობლივია, რომ, მიუხედავად სპარსული ლიტერატურისადმი დიდი ინტერესებისა, ამ პერიოდში ქართულად არ თარგმნილა სპარსული ლირიკის კლასიკური წარმომადგენლები: ომარ ხაიამი, ჰაფეზი, რუდაქი და სხვანი). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია მიემართება ევროპეიზაციის გზით.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების ევროპეიზაციისადმი საგანგებო ინტერესს (რასაც მოწმობს სწორედ მე-18 – მე-19 საუკუნეების მიჯნაზე, ანუ „გარდამავალ ხანაში“, მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა საქმიანობა და მხატვრული მემკვიდრეობა) – რუსულ-ევროპული ლიტერატურის მრავალი ძეგლის თარგმნასთან ერთად აშკარად ადასტურებს ევროპული განათლების დამკვიდრებისა და ფართოდ გავრცელების ტენდენციას.

აღნიშნული ეპოქა ისტორიკოსების მიერ აღიარებულია გვიანფეოდალიზმის ხანად, რაც ფეოდალიზმის წიაღში ახალი, ბურჟუაზიული კლასის წარმოქმნის მომენტსაც გულისხმობს და, აქედან გამომდინარე – შესაბამისი იდეოლოგიის აღმოცენებასაც. აღორძინების ხანის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ შეგნებაში იჭრება ფეოდალიზმისადმი კრიტიკულად განწყობილ ევროპულ მწერალთა ნაშრომები თუ შეხედულებანი. მე-17 – მე-18 საუკუნეებში საქართველოში რენესანსისა და განმანათლებელთა ეპოქის დიდ მოღვაწეებს ბევრი ღირსეული მიმდევარი გამოუჩნდა. სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი, გაიოზ და დავით რექტორები თამამად გაუტოლდებიან ევროპულ განმანათლებელ ენციკლოპედისტებს. ამ პერიოდის ქართული სალიტერატურო ენა მდიდარია რევოლუციური და პროტესტანტული იდეების გამომხატველი ტერმინებით: „ლუთერანი“, „კალვინიზმი“ (კალვინის მოძღვრება), „ფარმანოზობა“ (ფრანკმასონობა), „ვოლტერიანიზმი“, „პოპლიკა“ (რესპუბლიკა), „ეიკლოპედია“ (ენციკლოპედია) „ბონაპარტეულობა“, „პარტია“ და სხვ. აღორძინების ხანის ამ ეტაპს შემდეგნაირად აფასებს შ. ნუსუბიძე: საზოგადოებრივი დასაყრდენის უქონლობის გამო დასავლეთის გავლენა მხოლოდ ზედა ფენებს და ისიც ზოგიერთ მათ წარმომადგენელს შეეხო, ასე შემზადდა ბატონიშვილების და არისტოკრატიის სხვა წარმომადგენელთა დანა-

ფება დასავლეთის მეცნიერებისა და ფილოსოფიისადმი, რამაც მე-18 საუკუნის ფრანგულ განმანათლებლობას და, კერძოდ, ვოლტერიანიზმს გაუღო კარი საქართველოში.

პროტესტანტიზმის იდეებით გატაცება „ევროპეიზმის“ ერთგვარ ახალ ტალღად იქცა „გარდამავალი ხანის“ ქართულ მწერლობაში.

ამ საკითხების კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საქართველოში ლუთერს ჰყავდა როგორც მიმდევრები (მე-16 ს. მოღვაწე მზეჭაბუკ ათაბაგი), ისე კრიტიკოსებიც მაგ. არჩილი (1647 – 1713) ლუთერისა და კალვინის (1509 – 1584) დახასიათებისას წერდა: „ლუტრანი იღვწის სიმართლესო“ („ლექსნი არეულნი“), ხოლო „კალბინი ცუდის მეტყველიაო“. იმ დროის პირობებიდან თუ მასალებიდან გამომდინარე, ცხადია, არჩილი შორს იყო ლუთერისა (არჩილის ორთოგრაფიით: „ლუტრანი“, „ლოტრანი“) და ფრანგი რეფორმატორის იოან კალვინის (ჟან კოვენ კალვინ) სათანადო გაგებისაგან, რომელმაც, ფრ. ენგელსის აზრით, მეორე გადამწყვეტი შეტევა ჩაატარა ფეოდალიზმის წინააღმდეგ („გლეხთა ომი გერმანიაში“). არჩილს უჭირს „ლოტრან-კალბინის მიმდევრებისა“ და მე-8 მსოფლიო კათოლიკური საეკლესიო კრების მონაწილეების (არჩილის მიხედვით – ფრანგები) ურთიერთგანსხვავება.

ლუთერი მოხსენიებულია სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობაში“, გაიოზ რექტორის, იოანე რუსთველ ქობულაშვილის, გიორგი ავალიშვილისა თუ გაიოზ თაყაის ძე ბარათაშვილის სხვადასხვა ცნობაში.

როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის ევროპასა და რუსეთში აღინიშნა მოვლენა, რომელიც „ფრანკმასონობის“ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. სიტყვის ორთოგრაფია ძირეულ ენებზე შემდეგია: ფრანგულად - "Frank macons", ინგლისურად - "Freemasons", გერმანულად - "Frei-maurer", ხოლო რუსულად - "фрaмaзoн" (იხ. ა.ს. პუშკინის

„ევგენი ონეგინი“). ამ მიმდინარეობის ქართული შესატყვისი „ფარმაზონი“ (ნახსენებია პოეტ დ. სააკაძის მიერ) რუსულისგან გამომდინარეობს. „მასონი“, ანუ „ფრანკმასონი“, სიტყვასიტყვით თავისუფალ კალატობს, ხელოსანს, ნიშნავს. შემდგომ ამ ტერმინმა თავისუფალი მოაზროვნის გაგება შეიძინა და გამოხატავდა მე-18 საუკუნის ევროპასა და რუსეთში მოქმედ თავისუფალ მოაზროვნეთა ლოჟას. ფრანკმასონობამ ყველაზე სრულყოფილი სახე ინგლისში მიიღო, საიდანაც იგი ევროპის მთელ კონტინენტსა და რუსეთში გავრცელდა. მასონთა ლოჟის წევრები იყვნენ კარამზინი, რადიშჩევი, ი. ელაგინი (ითვლებოდა რუსულ მასონთა ლოჟის დიდოსტატად და აღიარებული იყო მასონთა მსოფლიო ცენტრში – ინგლისში), ა. სუმაროკოვი, იპ. ბოგდანოვიჩი, ვ. ლუკინი, ი. შვარცი, პ. მაიკოვი, მ. შჩერბაკოვი, ი. ლოპუხინი, ნ. ნოვიკოვი, ვ. ზოლოტნიცი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ რუსულ ფრანკმასონთა ლოჟებში მონაწილეობდნენ ქართველები: მ.პ. ბარათაშვილი, ს. დოდაშვილი (თუმცა დიპლომატიურად უარყოფს, რომ ის არ ყოფილა მასონთა ლოჟის წევრი.), დონაური და სხვ. ემიგრანტ მწერალთა წრეებში ცნობილია პოეტ დემეტრე ბახუტას ძე სააკაძის (მე-18 ს.) მიმართვა დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონისადმი (1746-1826), რომელშიც აშკარად ჩანს, რომ ფრანკმასონობა ცნობილი იყო მე-18 საუკუნის საქართველოში.

რამდენადაც „ფარმაზონობას“ ქართველთა გარკვეულ წრეებში „ხრისტეს უარისმყოფლობის“ ბრალდება ედო, შესაბამისად, ის ზოგიერთს ათეისტურ მოძრაობად წარმოედგინა.

მიუხედავად იმისა, რომ „ფრანკმასონობა“ ვოლტერის მიმდევრობას ნიშნავდა, თავისი მისტიკური ხასიათით იგი რელიგიური შინაარსის მოვლენა იყო. ამ მოძღვრების წარმომადგენლებმა გამოიყენეს სოლომონის „ეკლესიას-

ტე“, „ფსალმუნი“ – „დავითნი“, მდიდარი ბიბლიური ლირიკა. „ქრისტეს უარყოფა“ მასონთა ლოჟის წევრებისათვის წარმოუდგენელი რამაა, მიუხედავად განმანათლებლური მოძრაობისა და ენციკლოპედიზმის მოვლენაში მათი აქტიური მონაწილეობისა.

ლიტერატურა:

ასათიანი, ლევან (1933): ვოლტერიანობა საქართველოში, თბილისი: „სახელგამი“.

ვეფხვაძე, თამარ (2006): ქართული პრერომანტიზმის ტიპოლოგიური ასპექტები, თბილისი: „საარი“.

The “Transitional Period” (18th-19th centuries) from old to new Georgian literature was crowned with the creation and final establishment of bourgeois Georgian culture in the 19th century. The new Georgian literature and public thinking, art and science experienced a great rise. The new Georgian humanist and democratic culture, mainly arose on the basis of the renewal of the public life of Georgia, the development of its own advanced traditions, but the expansion of the cultural relations of the Georgian people with neighboring or distant peoples was of great importance for its growth and development. The process of establishment of the new Georgian culture took place through the gradual overcoming of its own and foreign conservatism.

The “Transitional Period” of Georgian writing, in fact, develops many literary themes characteristic of ancient writing, although this does not mean that the poets of the “Transitional Period” did not create many new things from a literary point of view.

In the “Transitional Period” literary works of many genres were created, which had a certain importance for the representatives of Georgian romanticism, the most noteworthy were the

translated Western European and Russian lyrics. Translations of lyrics more clearly reveal the forms of national adaptation of the writings of other peoples (it is significant that despite the great interest in Persian literature, the classic representatives of Persian lyrics were not translated into Georgian during this period: Omar Khayyam, Hafez, Rudaki and others). It should be noted that the Georgian translation tradition of this period is heading towards Europeanization.

The special interest in the Europeanization of the social-political and cultural-economic life of Georgia (which is evidenced by the activities and artistic heritage of Georgian thinkers working at the turn of the 18th-19th centuries, i.e., in the "Transitional Period") - together with the translation of many monuments of Russian-European literature, obviously it confirms the tendency of European education to be established and spread widely.

The mentioned period is recognized by historians as the era of late feudalism, which means the moment of formation of a new, bourgeois class in the heart of feudalism, and hence the emergence of the corresponding ideology. The works and views of European writers who are critical of feudalism are embedded in the Georgian literature and public consciousness of the renaissance period. In the 17th and 18th centuries, the great figures of the Renaissance and Enlightenment era in Georgia had many worthy followers. Sulkhan-Saba Orbeliani, Vakhtang VI, Davit Guramishvili, Gayoz and Davit the Rectors will boldly be equal to the European encyclopedists. The Georgian literary language of this period is rich in terms expressing revolutionary and Protestant ideas: "Lutheran", "Calvinism" (Calvin's doctrine), "Farmanosoba" (Freemasonry), "Wolterianism", "Poplica" (Republic), "Eiklopedia" (Encyclopedia), "Bonapartism", "Partia" and others. Sh. Nutsubidze evaluates this stage of the Renaissance as follows: due to the lack of a public base, the influence of the West only touched some of the representatives of the upper classes, so the study of

Batonishvili and other representatives of the aristocracy to Western science and philosophy was prepared, which opened the door to Georgia for the French Enlightenment of the 18th century and, in particular, Voltaireanism (Asatiani, 134).

Fascination with the ideas of Protestantism became a kind of new wave of “Europeanism” in Georgian writing of the “transitional age”.

As a result of the research of these issues, it has been established that in Georgia Luther had both followers (16th century figure Mzechabuk Atabagi) and critics; e.g., Archil, (1647 - 1713) while characterizing Luther and Calvin (1509 - 1584), wrote: “Lutran tells the truth” (Leksni areulni” – “Messed up Verses”), and “Calbin says bad things”. Based on the conditions and materials at that time, it is clear that Archil was far from Luther (Archil’s spelling: “Lutran”, “Lotran”) and from the proper understanding of the French reformer John Calvin (Jean Coven Calvin), who, according to Fr. Engels, made the second decisive attack against feudalism (“The Peasants’ War in Germany”). Archil fails to distinguish between “Lotran-Calbin’s followers” and participants of the 8th World Catholic Church Council (according to Archil - the French).

Luther is mentioned in Sulkhan-Saba Orbeliani’s “Travel”, in various reports of Gaioz the Rector, Ioane Kobulashvili of Rustavi, Giorgi Avalishvili or Gaioz Baratashvili.

As is known, an event took place in the 18th century Europe and Russia, which went down in history under the name of “Freemasonry”. The spelling of the word in the original languages is as follows: in French – “Frank macons”, in English – “Freemasons”, in German – “freimaurer”, and in Russian – “farmazon” (see “Eugene Onegin’ by A.S. Pushkin). The Georgian equivalent of this trend “Pharmazon” (mentioned by poet D. Saakadze) derives from Russian. “Mason” or “Frankmason” literally means a free worker, a craftsman. Later, this term acquired the meaning of freethinker and expressed the lodge of freethinkers operating in Europe and

Russia in the 18th century. Freemasonry took its most complete form in England, from where it spread to the entire continent of Europe and Russia. The members of the Masonic Lodge were Karamzin, Radishchev, I. Elagin (considered the Grand Master of the Russian Masonic Lodge and recognized in the World Masonic Center - England), A. Sumarokov, Ip. Bogdanovich, V. Lukin, I. Schwartz, P. Maikov, M. Shcherbakov, I. Lopukhin, N. Novikov, V. Zolotnitsky et al.

It should be noted that Georgians also participated in Russian Freemason lodges: M.P. Baratashvili, S. Dodashvili (although he diplomatically denies that he was a member of the Masonic Lodge), Donauri and others. The address of the poet Demetre Sakadze (18th century) to Dimitri Bagrationi (1746-1826) is known in the circles of emigrant writers, from which it is clear that Freemasonry was well known in the 18th century Georgia.

As far as “Pharmazonism” was accused of the “rejection of Christ” in certain circles of Georgians, it was presented to some as an atheistic movement.

Although “Freemasonry” meant following Voltaire, with its mystical character it was an event of religious content. Representatives of these doctrines used Solomon’s “Ecclesiastes”, “Psalms” – “David”, rich biblical lyrics. “Rejection of Christ” is an unthinkable thing for the members of the Masonic Lodge despite their active participation in the Enlightenment movement and the phenomenon of encyclopedism.

References:

- Asatiani, Levan (1933): *Volterianoba Sakartveloshi*. [Voltaireanism in Georgia]. Tbilisi: Sakhelgami.
- Vepkhvadze, Tamar (2006): *Kartuli preromantizmis tipologiuri aspektebi*. [Typological Aspects of Georgian Pre-Romanticism]. Tbilisi: Saari.

დარეჯან თვალთვაძე
Darejan Tvaltvdze

პარატექსტები გიორგი მთაწმინდლის რედაქციის
ოთხთავის ხელნაწერებში
Paratexts in the Gospel Manuscripts of George
the Hagiorite's Recension

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული ხელნაწერები, სახარება-ოთხთავი,
გიორგი მთაწმინდელი, პარატექსტი.

Keywords: old Georgian manuscripts, Gospels, George the Hagiorite, Paratext.

კოდიკოლოგიაში პარატექსტის ცნება გულისხმობს ძირითადი ტექსტის თანმხლები ყველანაირი ტექსტისა და ტექსტის სეგმენტაციისა და ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის გამოყენებული ყველანაირი გრაფიკული გამოსახულების ერთობლიობას, რომელიც წმინდა წერილის მკითხველს ტექსტის აღქმასა და მასში სასურველი ადგილის მოძიებაში ეხმარება. ოთხთავის უძველეს ხელნაწერებში, რომლებშიც სახარების ტექსტი მუხლებად და თავებად დაყოფილი არ იყო, ასეთი პარატექსტებიდან პირველად ტექსტის მცირე მონაკვეთებად (სტრიქონებად/მუხლებად) დაყოფის აღმნიშვნელი ნიშნები ჩნდება, რასაც მალე მოჰყვება სხვა პარატექსტური ელემენტებიც: სახარებათა ავტორების სახელები და სათაურები, მოკლე უწყება თითოეული სახარების დაწერის დეტალების და მასში მუხლებისა და თავების რაოდენობის შესახებ (στοιχαί). მოგვიანებით სახარების ტექსტი თემატური ნიშნით დაიყო უფრო ვრცელ მონაკვეთებად - თავებად, რომელთათვის შერჩეული სათაურები (τίτλοι) და სათაურების ჩამონათვალი (κεφάλαια) თითოეულ სახარებას დაერთო. ღვთისმსახურების დროს სახარებიდან ლიტურგიკული კალენდრით განსაზღვრული მონაკვეთების წაკითხვის საჭიროებამ ტექსტში ამ საკითხავების მონიშვნა და მათი ინდექსის დანართი ტექსტის სახით დართვა განაპირობა. ოთხთავის ბერძნულ ხელნაწერებსა და მის სხვაენოვან, მათ შორის, ქართულ თარგმანებშიც სხვა ეპიტექსტები და პერიტექსტებიც გვხვდება (მახარებელთა ბიოგრაფიები და „შესხმანი“, ქრონიკები, პასქალიები, ავგაროზის ეპისტოლე და სხვ.), რომელთა ნაწილი ოთხთავის კოდექსების პარატექსტური სისტემის აუცილებელ კომპონენტად ვერ იქცა.

სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანი, რომელსაც პირველთარგმანიდან გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის (ათონური ვულგატის) ჩამოყალიბებამდე თარგმნა-რედაქტირების რამდენიმე ეტაპი აქვს გავლილი, იც-

ვლება პარატექსტების თვალსაზრისითაც. მოხსენებაში განხილულია, რა სახის სხვაობები შეინიშნება წინათონური და ათონური პერიოდის კოდექსების სტრუქტურაში, რომელი პარატექსტები იქცა გიორგი მთაწმინდლის მიერ რედაქტირებული ტექსტის აუცილებელ და უცვლელ თანმხლებ ელემენტებად; რომელ მათგანზე თქვა გიორგიმ უარი; როგორი ცვლილება განიცადა ზოგიერთმა დანართმა; რომელი პარატექსტები ჩნდება პირველად გიორგისეული ტექსტის შემცველ ხელნაწერ ოთხთავებში და როგორი ოთხთავი მიიჩნევა „ახლადთარგმნილისა წესსა ზედა გამართულ და ყოვლითურთ უნაკლულო ოთხთავად“.

The concept of paratext in codicology implies all the texts accompanying the main text and the unity of all graphic images used for the segmentation of the text and visualization of information, which helps the reader of religious literature to perceive the text and find the desired fragment in the latter. In the ancient manuscripts of Gospels, the text was not divided into paragraphs and chapters. The first paratext to appear was comprised of signs dividing the text into smaller units (στίχος/ ῥήματα). Soon after this, other paratextual elements started to appear: the names of the authors of the Gospels, titles, brief notes about the details of writing of each of the Gospels, and the number of paragraphs and chapters in them (ὑπογραφαι). Later, the text of the Gospels was divided thematically into larger units - chapters, and the titles (τίτλοι) and lists of the titles (κεφάλαια) were appended to each of the Gospels. The necessity to read the fragments defined by the liturgical calendar during church service led to the marking of these fragments in the text and appending of their index. In the Greek manuscripts of the Gospels and their translations, including the Georgian translations, there are other epitexts and peritexts (the biographies of the

Evangelists and “odes”, chronicles, pascals, Abgar’s Epistle and so on). A certain portion of the above-mentioned failed to form integral components of the paratextual system of the Gospel Codes.

The old Georgian translation of the Gospels, which underwent several stages of translation-recension from the first translation to the recension of George the Hagiorite (Athonite Vulgate), also underwent changes with regard to paratexts. The paper analyzes the differences in the structures of the codes of the pre-Athonite and Athonite periods. The aim of the paper is to find out which paratexts turned into integral and unchanged elements of the recension of the text by George the Hagiorite and which were rejected by him. The paper also analyzes the amendments made to certain appendixes, the first paratexts that appeared in the Gospels containing George the Hagiorite’s text and the types of Gospels considered as “accurate and flawless Gospels based on the rules of new translation”.

ინესა მერაბიშვილი
Innes Merabishvili

სიტყვის ლინგვისტური ხატი დედანსა და
თარგმანში
Linguistic Image of a Word in the Original Text and
its Translation

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სემასიოლოგია, თარგმანის ლინგვისტიკა,
ლინგვისტური ხატი.

Keywords: semasiology, linguistics of translation, linguistic image.

მხატვრული ლიტერატურა ხელოვნების ერთადერთი დარგია, რომელიც, როგორც სიტყვაზე აგებული და ნაშენი, საკუთარ ენობრივ საზღვრებშია მოქცეული და, ამდენად, დედნის ენის მცოდნისთვისაა გასაგები მხოლოდ.

ამგვარად, მთარგმნელის შრომა და თვით თარგმანის აქტი გამოწვეულია ობიექტური აუცილებლობით, ერთ ენაზე განცდილი და გააზრებული გასცდეს ენობრივ საზღვრებს და სხვა ერების კუთვნილებად იქცეს. ამავე დროს, თარმანს ეკისრება მეორე და უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია - განმარტოს დედნისეული ტექსტი, უფრო ზუსტად, იყოს ამ ტექსტის ინტერპრეტატორი. ეს უკანასკნელი კი, როგორც უძველესი ჰერმენევტიკიდან მომდინარე დარგი, დღეს ცალკე დისციპლინად - ტექსტის ინტერპრეტაციად ჩამოყალიბდა და განვითარების დიდი პერსპექტივაც შეიძინა.

თარგმანის თეორია, რომელიც თავდაპირველად ლიტერატურათმცოდნეობას განეკუთვნებოდა, დღეს ლინგვისტიკის მნიშვნელოვანი სფეროა, რაზეც თავად დარგის სახელდება, ანუ “თარგმანის ლინგვისტიკა”, მეტყველებს.

მოხსენების მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ის დიდი ლინგვისტური ძვრები, რომლებმაც განსაზღვრეს თანამედროვე თარგმანის ლინგვისტიკის ამოცანები, და რომლებითაც თავადაც ვხელმძღვანელობ.

უპირველესად, დავასახელებ სემასიოლოგიას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის მიწურულს, და რომელმაც აქტიურად მოიცვა მთელი XX საუკუნე. XX საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანი ტექსტის აღქმის აუცილებლობამ, უბიძგა რა ენათმეცნიერებს შინაარსობრივი პარამეტრების დიფერენციაციისკენ, შედეგად გამოიღო ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დარგის ჩამოყალიბება.

ტექსტის ლინგვისტიკას უმალ დაუპირისპირდა სწორედ სემასიოლოგია იმ მოტივით, რომ ერთიანი ტექსტის ანალიზი სიტყვის სიღრმისეულ შესწავლას საფუძველს გა-

მოაცლიდა. ამ ვითარებაში აუცილებელი იყო ამ ორი მნიშვნელოვანი დარგის არგუმენტირებული და საფუძვლიანი შერიგება. წინა საუკუნის 90-იან წლებში ასეთი თეორიული შერიგების საფუძველი პირადად მე სწორედ სიტყვის რაობის წარმოჩენაში მოვინახე:

თუ XX საუკუნის მეორე ნახევარში ტექსტის ლინგვისტიკა თავის ძირითად ერთეულად ასახელებდა აბზაცს ან გამონათქვამს, ჩემთვის ნათელი იყო, რომ ტექსტის ძირითად ერთეულად უნდა გამოგვეცხადებინა სიტყვა.

ამ დროისათვის უკვე შეფასებული მქონდა სიტყვის მნიშვნელობის ის წამყვანი მოდელი, რომელიც 1923 წელს ოგდენმა და რიჩარდზმა შემოგვთავაზეს ნომინაციის, სიგნიფიკატისა და რეფერენტისაგან შემდგარი სემანტიკური სამკუთხედის სახით. ამ შეფასების მთავარი მიზანი იყო მისი ხარვეზის გამოვლენა:

რეფერენტი, როგორც გარესამყაროს საგანი, აუცილებლად ექსტრალინგვისტური მოვლენაა. აქედან დასკვნა: ექსტრალინგვისტური სამყაროს საგანი არ შეიძლება განიხილებოდეს სიტყვის მნიშვნელობის კომპონენტად, რადგან სიტყვის მნიშვნელობა უდავოდ ლინგვისტური მოვლენაა. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ამ საკითხის შესწავლა და მოკვლევა არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ფილოსოფიური და თავად ფიზიოლოგიური თვლსაზრისითაც.

კვლევამ ნათელყო, რომ სიტყვაში გარესამყაროდან ასახულია ის გრძნობითი ანაბეჭდი, რომელსაც ფილოსოფია გნოსეოლოგიურ ხატად განიხილავს. სიტყვაში რეალიზებულ ასეთ გნოსეოლოგიურ ხატს მე ლინგვისტური ხატი ვუწოდებ და ის სიტყვის მნიშვნელობის ერთ-ერთ კომპონენტად გამოვაცხადებ. ასე შეიქმნა ახალი სემანტიკური სამკუთხედი - ლინგვისტური ხატი, ნომინაცია და სიგნიფიკატი.

სიგნიფიკატი, როგორც სიტყვის ცნება, ცვალებადი მოვლენაა. ეს საუკეთესოდ დაამტკიცა მიშელ ბრეალიდან მომდინარე სემურმა ანალიზმა. ნომინაცია, ბუნებრივია, უცვლელია. რაც შეეხება ლინგვისტურ ხატს, ის აუცილებლად უცვლელი მოვლენაა. ვირტუალურ მდგომარეობაში ლინგვისტური ხატი თითქოსდა მიძინებულ მდგომარეობაშია, მაგრამ სიტყვის აქტუალიზაციის პროცესში ის ზედაპირზე გამოდის და განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს. მხატვრულ ტექსტში ხატი სიტყვაშია, ვითარცა ჯინი ჭურჭელში, ოღონდ მას თავისი ჯადოქარი სჭირდება, რომ ის სინათლეზე გამოიყვანოს და აუცილებლად ახალ-ახალი სახეებით წარმოგვიჩინოს. ამ პროცესის საუკეთესო მაგალითად გალაკტიონის პოეზია გვესახება. სწორედ ხატის შინაარსობრივი ღირებულების უგულებელყოფამ გამოიწვია გალაკტიონის ენიგმების, როგორც სიტყვიერი გამოცანების გახსნაზე ტაბუს დადება.

აშკარა ხდება, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მთარგმნელს სიტყვასთან ურთიერთობაში, რათა ტექსტში გააქტიურებული ხატი სწორად შეიმეცნოს და ადეკვატურად ასახოს თარგმანში. გალაკტიონის უთარგმნელობის მითიც დიდწილად ამ ფაქტორითაა განპირობებული.

Literature is the only branch of art that is enclosed within its own linguistic limits and is accessible to the bearers of a definite language only.

Therefore, the translator's work and the act of translation itself appear to be caused by an inner compulsion that what is felt and reasoned in one language should pass the linguistic boundaries of one tongue and become the property of as many nations as possible. This very point emphasizes the function of translation and permits us to declare it to be a sample of art.

Translatology, as well as the history of translation, vividly testifies to the fact that in every period and in every country translation has been an echo of the lore and culture a certain nation has obtained towards the phenomenon of language, on the one hand, and in the matter of interpreting a text as a whole, on the other.

Translatology and especially linguistics of translation as a new branch of science call for further development in accordance with textlinguistics. Textlinguistics offers new dimensions for the further research of a poetic text.

Contemporary Linguistics of the second half of the twentieth century is marked not only by a new and systematic approach which regards to text as a whole, but with a deep, thorough and scrupulous study of a word and its meaning. Due to the latter, the lexical meaning of a word is represented as a kernel *sema* surrounded by a number of secondary *semas*, i.e. the smallest units of a lexical meaning. We can compare this process with the decomposition of an atomic nucleus, especially when it encourages new waves of research. Linguistics now realizes the perspective of uncovering the mechanism of word relations, which seemed very obscure before. In this aspect we have to note a poetic word and its generative power.

In regard to the investigation of a word, we need to express our attitude towards the problem of meaning. We are well aware of the fact that there is no agreed or universally acknowledged idea about the meaning of a word.

In connection with the problem of meaning, we cannot help considering the opinion according to which the meaning of a word is represented as a relation between the sound form of a word, its concept and a referent as an object of the real world. This point of view was based on a famous semantic triangle suggested by C.K. Ogden and J.A. Richards as early as in 1923.

The presence of a conceptual image in a word is beyond doubt. As for the acknowledgement of the sensuous image in a word, it is only intuitively noted by scholars.

Thus, the sensuous image existing in a word is regarded by us as a linguistic image. The acknowledgment of a linguistic image in a word permits us to present the meaning of a word as a correlation of three main components: sound form of a word or its nomination; signifactum or concept and linguistic image.

We aimed to describe and investigate each component of this semantic triangle in order to uncover the essential mechanism of relations between the meanings of words.

The category, which in translation suffers most, is the image-bearing level of content, which certainly leads to a loss of the charm that is in the source text. The loss of the image-bearing level badly influences the realization of the concept or subtext in translations. In spite of this, we note a number of translations where this category of content is realized successfully.

მარიამ მირესაშვილი
Mariam Miresashvili

ლიტერატურული იმაგოლოგია: ევროპისა და
ევროპელების აღქმა პოსტკოლონიურ ქართულ
ლიტერატურაში
Literary Imagology: Perception of Europe and
Europeans in Postcolonial Georgian Literature

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურული იმაგოლოგია, პოსტკოლონიური
ქართული ლიტერატურა.

Keywords: literary imagology, postcolonial Georgian literature.

დისკურსული ბუნებიდან გამომდინარე, ნაციონალური სტერეოტიპი დამკვიდრებისა და გავრცელებისთვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს მხატვრულ ლიტერატურაში პოულობს. სწორედ მხატვრულ ლიტერატურაში ფიქსირდება ამა თუ იმ ერის იმაგოლოგიური შეხედულებები, მისი ნაციონალური შეგნებისთვის დამახასიათებელი ეთნოსტერეოტიპები, ანუ, შემფასებლური ხასიათის წარმოდგენები სხვა ხალხებსა და კულტურებზე. ზემოაღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ შევარჩიეთ თანამედროვე ქართველი მწერლის - ლაშა ბუღაძის რომანი „ლიტერატურული ექსპრესი“ (2009), რომელიც პირობითად *სამოგზაუხო ჟანხის* ლიტერატურას მიემატება. ნაწარმოების შერჩევასა და ვეყრდენით იმ მოსაზრებას, რომ მოგზაურობისას, უცხო კულტურასთან, ადამიანებთან კონტაქტისას, ყალიბდება მათდამი დამოკიდებულების თავისებურებანი. სწორედ აღნიშნულ რომანზე დაყრდნობით, წარმოვაჩინოთ ევროპისა და ევროპელების აღქმის მწერლისეულ ინტერპრეტაციას.

ავტორისეული კონცეფციით, სხვადასხვა ქვეყნის მწერლებთან „ლიტერატურულ ექსპრესში“ გატარებულ ერთ თვეს უქმად არ ჩაუვლია; ყველაზე მთავარი, რაც რომანის გმირმა აღმოაჩინა, არის ის, რომ სხვადასხვა ეროვნების ას მწერალს, განსხვავებაზე უფრო მეტი, *საეხთო* აქვთ; უპირველეს ყოვლისა ის, რომ გმირის დასავლელ კოლეგებს იგივე კომპლექსი აწუხებთ, რაც ქართველ მწერლებს; ყველა ავტორს ეშინია, რომ მის მიერ დაწერილი წიგნები დაბადებისთანავე სასიკვდილოდ არის განწირული; რომ მის მიერ მოყოლილი ამბები ვერ გასცდება ლოკალურ წრეს, გარკვეულ საზღვრებს; რომ მისი პრობლემები, განცდები, ფიქრები არ დააინტერესებს უცხოელ მკითხველს, ვერ პოვებს მათ სულში გამოძახილს.

ცხადია, მხატვრულ ლიტერატურაში უცხოელი პერსონაჟის სახის შემქმნელად ავტორი გვევლინება, რომელსაც საკუთარი კონცეფცია, მსოფლმხედველობა გააჩ-

ნია. მწერლის მიერ ამა თუ იმ ერის ეთნოსტერეოტიპის შეფასებისას მისი პირადი აზრი დომინირებს, რაც შესაძლოა, გადმოიცეს ნარატორის, უცხოელი პერსონაჟების ან სხვა პერსონაჟების მიერ გამოთქმული მოსაზრებების სახით. ზემოთ განხილულ ნაწარმოებში ქართველი მწერლის მიერ დაფიქსირებული იმაგოლოგიური ხედვა, ცხადია, სუბიექტურია; მაგრამ თუ მასზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ, ქართველი ავტორი (და მათი პერსონაჟები) არ გრძნობენ თავს გაუცხოებულად ევროპულ სინამდვილეში; რომანში – „ლიტერატურული ექსპრესი“ – წარმოჩენილია ის პრობლემები, რომლებიც საერთოა კოლეგა-მწერლებისთვის (ეროვნული ნიშნის მიუხედავად); იგი პიროვნული „მე“-დან მომდინარეობს და არა განსხვავებული ეროვნული კუთვნილებიდან. ამდენად, საზოგადოებასთან გაუცხოების პრობლემა რომანის გმირის სულიერ კრიზისს, ძიების პროცესს უკავშირდება და არა ევროპელებთან მენტალურ შეუთავსებლობას.

On the basis of its discursive nature, a national stereotype finds “the richest soil” of establishment in literature. Literature depicts imagological viewpoints of different nations. It is worth mentioning that people usually tend to attribute particular characteristic features (perfidy, aggressiveness, frankness, stupidity, etc.) to different ethnic groups. This fact creates the basis for the formation of an ethno-cultural stereotype, which comprises an expanded scale of assessment - extremely positive or negative. For the better illustration of the above mentioned, we chose the work of a modern Georgian author Lasha Bugadze “The Literary Express” (2009), which arbitrarily belongs to *the genre of travelling*. Making such a choice was stipulated by the fact that the relations between people are formed while travelling and contacting. We will make an attempt to highlight contemporary Georgian writers’ comprehension of Europe and Europeans.

According to the author's conception, one month spent in "Literatur-express" with the writers of different countries did not pass not vain. The most important thing that the main character of the novel found out was that 100 writers of different nationalities had more common characteristic features than distinctive ones; firstly, he understood that his western colleagues had the same complex – all of the authors were afraid that the books written by them were destined to "death" immediately after "birth"; that the stories narrated by them would not be able to cross the local circle or particular borders; that their problems, feelings and thoughts would not attract foreign readers, would not reflect in foreigners' souls.

It is obvious that in literary works an image of a foreign character is usually created by the author, who has his/her own conception and worldview. The author's viewpoint becomes dominant even during the assessment of ethno-stereotypes of different nations. This fact is depicted in the opinions of a narrator, a foreign character or other characters. It is also worth mentioning that in the above-mentioned novel the Georgian writers' imagological view is subjective. However, the author does not feel himself alienated in the European reality. In the novel - "The literary express" - we come across the problems which are common for the colleague-writers (despite their nationality). This type of alienation does not depend on the nationality; it originates from the personal "ego". And, finally, it can be mentioned that the problem of alienation from society is connected to the characters' spiritual crisis and the process of searching. It has nothing in common with the mental incompatibility with the Europeans.

თინათინი მოსეშვილი
Tinatini Moseshvili

გივი მარგველაშვილის პოეტოლოგია
Poetology of Givi Margvelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზურ მეცნიეხებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გივი მარგველაშვილი, ონტოტექსტოლოგია, ტექსტი.
Keywords: Givi Margvelashvili, Ontotextology, Text.

გერმანულენოვანი ქართველი ავტორის, გივი მარგველაშვილის, პოეტოლოგია – ონტოტექსტოლოგია, სრულად წარმოჩნდება მის ნაშრომში *ონტოტექსტოლოგია ფილოსოფიასა და ხელოვნებაში (Ontotextualität in Philosophie und Kunst, 1992)*. წინამდებარე მოხსენების მიზანია აღნიშნული ნაშრომის განხილვა და მისი მნიშვნელოვანი ასპექტების წამოწევა. ონტოტექსტოლოგია გივი მარგველაშვილის ნაშრომში განისაზღვრება, როგორც ტექსტის მიერ ფორმირებული ცხოვრება. მისი კონცეფციის მიხედვით, სოციალური სამყარო მთლიანად განსაზღვრულია ტექსტებით (ფართო გაგებით), რასაც ფუკო დისკურსებს უწოდებს, – ესაა სააზროვნო მოდელები (მოდერნები, იდეოლოგიები), რომლებიც ტექსტებშია დაფიქსირებული. ტექსტები განსაზღვრავენ ადამიანის აზროვნებას, ქცევას და, შესაბამისად, დიდ ისტორიულ მოვლენებს. გივი მარგველაშვილის პოეტოლოგიის მიხედვით, თუ ცნობიერება თავისი არსით ღიაა, თავისუფალია, მაშინ მასში განსხვავებული ონტოტექსტები – „ჰეტეროტექსტები“ იყრიან თავს. იდეოლოგიურ სახელმწიფოებში ცნობიერების „პოლითემატური ონტოპროგრამა“ „მონოთემატურად“ იქცევა, რომელსაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე აქვს პრეტენზია. იდეოლოგიურ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება არსებობს. ამ დროს ცნობიერება დახურულია, მრავალფეროვნებას ანაცვლებს ერთფეროვნება, რაც ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას არ შეესაბამება. ავტორის კონცეფცია ძალიან ახლოსაა პოსტმოდერნულ, პოსტსტრუქტურალისტურ იდეებთან, ესთეტიკასა და ფილოსოფიასთან, რომელთა მიხედვითაც გაბატონებული ჭეშმარიტებების გაზიარება შეიძლება სახიფათო იყოს, ამან შესაძლოა ფუნდამენტალიზმთან მიგვიყვანოს და შესაბამისად, დამღუპველი შედეგები მოჰყვეს – გამოიწვიოს საშინელი კონფლიქტები ადამიანთა ჯგუფებს შორის. რაკი, აზროვნება, რომელიც ფუნდამენტალისტურია და ყველაფერ განსხვავებულს გმობს და

ებრძვის, ფაქტობრივად, პლურალიზმს, აბროვნებისა და ღირებულებათა სისტემის მრავალფეროვნებას (პოლითემატურ ონტო-თემატიკას) უარყოფს. გივი მარგველაშვილის აზრით, იდეოლოგიზებული სამყარო (სამყარო, რომელშიც ერთი იდეოლოგიაა გაბატონებული) ცხოვრებისთვის შეუფერებელია და ერთ დღესაც აუცილებლად დაიშლება. გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გივი მარგველაშვილი უტოპისტია, რადგან მას სჯერა, რომ ცნობიერებას აქვს საკუთარი თავის გამოსწორების უნარი. სწორედ იმის გამო, რომ ცნობიერების ონტოპროგრამა ღია ტექსტია, ე.ი. ღიაა ჰეტერო-ონტო-თემატიკისთვის, არასოდეს დაუშვებს საკუთარი თავის სამუდამო კატეგორიზაციასა და დახურულ ონტოტექსტად გადაქცევას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ მაინც გადალახავს და დაძლევს მისთვის დადგენილ იდეოლოგიურ საზღვრებს, ყალბ ონტოტექსტებს. ცნობიერების ონტოპროგრამა დიდხანს ვერ იარსებებს გაყალბებული სახით; მას ძალუძს, გამოასწოროს საკუთარი თავი და სამყარო. გივი მარგველაშვილის კონცეფციის მიხედვით, წაკითხული გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, მის ქცევაზე, მისი ცხოვრების წესზე, მის ცნობიერებაზე. დიდი რელიგიური და ფილოსოფიური ტრაქტატები, ცნობილი დიდი ტექსტები გავლენას ახდენს მასების ცნობიერებაზე და ზემოქმედებს მათ ქცევაზე. გივი მარგველაშვილი მსჯელობს იმაზე, რომ ამ ტექსტებში გადმოცემული ძირითადი იდეოლოგიების გასაავრცელებლად საჭიროა ავტორიტეტის, გავლენის მქონე ცნობილი, პოპულარული პირები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ იდეების გავრცელებასა და დამკვიდრებას საზოგადოებაში. გივი მარგველაშვილის აზრით, ასეთი ტექსტების პოპულარიზაცია შეიცავს დიდ საფრთხეს, გადაუხვიონ რელსებიდან და ონტოტექსტოლოგიური შეცდომა გამოიწვიონ, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს, მაგალითად, ფუნდამენტალიზმში, კატეგორიულობასა და ანტი-ონტოთემატურობაში. გი-

ვი მარგველაშვილს მიაჩნია, რომ თანამედროვე ხელოვნება ონტოტექსტობრივია თავისი ხასიათით, ე.ი. ის ასახავს სინამდვილესა და რეალურ ყოფიერებას, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ზემოქმედებს ადამიანის ცხოვრებაზე. თანამედროვე ლიტერატურაში ონტოტექსტოლოგიური თემა სულ უფრო მკვეთრ კონტურებს იძენს, აქტუალური ხდება წიგნი წიგნში ან ტექსტი ტექსტში. არსებითად, გივი მარგველაშვილი ლიტერატურის ონტოტექსტობრივ პოტენციალს სწორედ მეტაფიქციურ თამაშებში ხედავს. წიგნი წიგნში ან ტექსტი ტექსტში მისთვის სწორედ ის ხერხებია, რომლებითაც ლიტერატურაში ე.წ. ონტოტექსტობრივი თემა ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ იგი არ იყენებს ტერმინს „მეტაფიქციურს“, თუმცა, როცა იგი ლაპარაკობს ონტოტექსტოლოგიაზე ლიტერატურასთან მიმართებით, დიდი ალბათობით, ის უნდა მოიაზრებდეს მეტაფიქციურ თამაშებს. მისი აზრით, ონტოტექსტოლოგიური წერის სტილი ბუნებრივ კომპონენტად განსაკუთრებით იმ მწერლებისთვის იქცა, რომელთაც საბჭოთა კავშირი – ონტოტექსტოლოგიურად ძალადობრივი სახელმწიფო საკუთარ თავზე გამოსცადეს. საგულისხმოა, რომ გივი მარგველაშვილი თავის თავსაც მიაკუთვნებს ასეთი მწერლების რიგს.

Poetology - ontotextology of the German-speaking Georgian author Givi Margvelashvili is fully presented in his work *Ontotextology in Philosophy and Art* (*Ontotextualität in Philosophie und Kunst*, 1992). The aim of the present paper is to discuss the mentioned work and to bring forward its important aspects. In the work of Givi Margvelashvili, ontotextology is defined as a life formed by the text. According to his concept, the social world is completely defined by texts (in a broad sense), which Foucault calls discourses – these are thought models (doctrines, ideologies) that are given in texts. Texts determine human thinking, beha-

behavior and, accordingly, major historical events. According to the poetology of Givi Margvelashvili, if consciousness is open and free in its essence, then different onotexts – “Heterotexts” converge in it. In ideological states, the “Polythematic Ontoprogram” of consciousness turns into a “Monothematic” one, which has a claim to absolute truth. There is only one truth in an ideological state. At this time, consciousness is closed, diversity is replaced by monotony, which does not correspond to the natural state of a person. The author’s concept is very close to post-modern, post-structuralist ideas, aesthetics and philosophy, according to which sharing prevailing truths can be dangerous, it can lead us to fundamentalism and therefore have disastrous consequences - cause terrible conflicts between groups of people. Because the thinking, that is fundamentalist and condemns and fights against everything different, actually rejects pluralism, diversity of thought and the value system (polythematic onto-thematic). According to Givi Margvelashvili, the ideologized world (the world in which one ideology is dominant) is unsuitable for life and will definitely collapse one day. In some respects, it can be assumed that Givi Margvelashvili is a utopian, because he believes that consciousness has the ability to fix itself. Precisely because the ontoprogram of consciousness is an open text, that is, it is open to hetero-onto--thematics, it will never allow itself to be eternally categorized and turned into a closed onto-text, this means that it will eventually overcome and cross the ideological boundaries set for it, false onto-texts. The ontoprogram of consciousness cannot exist for a long time in a forged form; it has the power to fix itself and the world. According to Givi Margvelashvili’s concept, the read text affects a person’s life, his/her behavior, his/her way of life, his/her consciousness. The great religious and philosophical treatises, the famous great texts, influence the consciousness of the masses and influence their behavior. Givi Margvelashvili considers that in order to spread the main ideologies conveyed in these

texts, it is necessary to have famous, popular persons with authority and influence, who will contribute to the spread and establishment of these ideas in the society. According to Givi Margvelashvili, the popularization of such texts contains a great danger of deviating from the rails and causing an ontotextological error, which can manifest, for example, in fundamentalism, categorization and anti-ontothematism. Givi Margvelashvili believes that modern art is ontotextual in its nature, that is, it reflects reality and real existence, on the one hand, and, on the other hand, it affects human life. In modern literature, the ontotextological theme is getting more and more sharp contours, the book within the book or the text within the text becomes more relevant. Essentially, Givi Margvelashvili sees the ontotextual potential of literature precisely in metafictional games. A book within a book or a text within a text is for him the very methods by which the so-called ontotextual theme is carried out. It is worth noting that he does not use the term “metafictional”, although when he speaks of ontotextology in relation to literature, he most likely means metafictional games. In his opinion, the ontotextological writing style became a natural component especially for those writers who experienced the Soviet Union, an ontotextologically violent state, on themselves. It is significant that Givi Margvelashvili includes himself among such writers.

სოფიო მუჯირი
Sophie Mujiri

ცალმხრივი თანმიმდევრული თარგმნის
პრობლემები
The Problems of Unilateral Subsequent Translation

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზუდ მეცნიეჰებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ცალმხრივი თანმიმდევრული თარგმანი, მომზადება თარჯიმნობისთვის, დამსაქმებელი, რეცეფციული, პროდუქციული ფაზები, ტექსტის გაფილტვრა, დამახსოვრება, რედაქტირება და მიზან ენაზე წარდგენა.

Keywords: unilateral subsequent translation, preparation for interpretation, employer, receptive, productive phases, filtering of the text, memorizing, editing and presentation in the target language.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ცალმხრივი თანმიმდევრული თარგმნის სპეციფიკა: საკომუნიკაციო სიტუაციების ტიპები, კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ხდება თარგმანის მოცემული სახეობების განსაზღვრა, მომზადება თარჯიმნობისთვის. ჩამოთვლილია თარჯიმნის ვალდებულებები (მსოფლმხედველობის დიაპაზონის გაფართოვება, ენობრივი, დარგობრივი და კულტურული კომპეტენციის ამაღლება, ცოდნის დეფიციტის სწრაფად შევსების უნარი, ინფორმაციის მოპოვების უნარი სხვადასხვა წყაროდან და სხვ.).

ნაშრომში განხილულია თარჯიმნის ურთიერთობა დამსაქმებელთან, რომლისგანაც მან უნდა მოითხოვს: დეტალური ინფორმაცია კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ღონისძიების მსვლელობა, ინფორმაცია მონაწილეთა ენობრივი კომპეტენციის სავარაუდო დონის შესახებ. თარჯიმანმა უნდა მოიძიოს მოცემულ თემაზე უკვე ჩატარებული თათბირების, კონფერენციებისა და ა. შ. დოკუმენტები და შეძლოს დარგის კვალიფიციურ სპეციალისტთან საუბარი.

დასახულია ცალმხრივი, თანმიმდევრული თარჯიმნობის პრობლემების გადაჭრის გზები (მაგ. ტექსტის მონაკვეთების სიგრძე, თარჯიმნის მეხსიერების საკითხი და სხვ.) განხილულია რეცეფციული და პროდუქტიული ფაზები, მენტალური ოპერაციები, რომლებიც ამ ფაზებს ქმნიან, თარჯიმნის მიერ საკომუნიკაციო სიტუაციის სპეციფიკის გათვალისწინება, მოსმენილის გაგების წინაპირობები, დროისა და ფსიქიკის წნეხი, სათარგმნი ტექსტის გაგებული ფრაგმენტების დამახსოვრების, ასოცირების, ანტიციპაციის, მოსმენის სტილების განსაზღვრის საკითხები, ასევე, ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაფილტვრისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარი მიზან-ტექსტის შექმნამდე. ნაშრომში გაანალიზებულია ტექსტის რეცეფციის სირთულეები: გამომსვლელის ინტენ-

ციისა და აზრის ჰოლისტური გათვალისწინება, სემანტიკური, კოგნიტიური და სტილისტური ელემენტების აღქმა, ვიზუალური და პარავერბალური საშუალებების გათვალისწინება და ბოლოს, ამოსავალი ტექსტის აზრის ეფექტურად გადატანა მიზან ენაზე, მისი რედაქტირება და წარდგენა.

The paper analyzes the specifics of unilateral subsequent translation: the types of communicative situations, the criteria defining these types of translation, preparation for interpretation. It provides a list of the interpreter's duties (broadening of world vision, enhancement of linguistic, cultural and field competence, the ability to quickly fill the gap of knowledge, the capacity to obtain information from diverse sources and so on).

The research analyzes the relations between the translator and the employer from whom the former should demand the following: detailed information regarding a concrete activity, details of the planned event, information regarding the expected level of linguistic competence of the participants. The interpreter should collect documents regarding the issue of the event, minutes of similar sessions, proceedings of conferences, etc. The interpreter must be able to render qualified conversation with competent specialists in the field.

The presented work also provides solutions of problems related to unilateral, subsequent translation (for instance, the length of paragraphs of the text, issues related to the memory of the interpreter and so on). The paper discusses receptive and productive phases; mental operations creating these phases; the interpreter's awareness of the specific features of communicative situations; the preconditions for understanding the utterances; the pressure of time and psychological pressure; the issue of definition of styles of memorizing fragments of the text; association, anticipation and listening; filtering of irrelevant in-

formation and taking strategic decisions prior to the creation of the target text. The report also analyzes the complexities of receptivity of the text: holistic approach to the intention and opinion of the speaker, perception of semantic, cognitive and stylistic elements, awareness of visual and non-verbal means and, lastly, effective transfer of the meaning of the original text to the target language, its editing and presentation.

ნინო ნასყიდაშვილი
Nino Naskidashvili

უკრაინული წითელი რენესანსი და ხარკოვის
ლიტერატორთა სახლი „სიტყვა“
Ukrainian “Red Renaissance” and Kharkiv Literary
House “Slovo”

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზუდ მეცნიეხებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: უკრაინული პოეზიის ანთოლოგია, რეპრესირებული მწერლები, ლიტერატურული ტერორი, წითელი რენესანსი.

Keywords: Anthology of Ukrainian poetry, repressed writers, literary terror, red renaissance.

საბჭოთა ხელისუფლების ლიტერატურული პოლიტიკა, 1937-1938 წლების ტერორი უკრაინული ლიტერატურისა და უკრაინელი მწერლებისთვის ფიზიკური და მორალური განადგურების იარაღად იქცა. აღნიშნულ პერიოდს ლიტერატურათმცოდნეები „ნითელ რენესანსს“, იმავე „დახვრეტილ აღორძინებას“ უწოდებენ (ტერმინი, რომელიც ეჭი გერდოიციმა პირველად იური ლავრინენკოსთან მიწერილ წერილში გამოიყენა 1958 წელს და შესთავაზა მას, როგორც 1917-1933 წლების უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგიის სათაური). იური ლავრინენკომ, ცნობილმა უკრაინელმა მკვლევარმა, პუბლიცისტმა, ლიტერატურათმცოდნემ, უკრაინული პოეზიის ანთოლოგიაში დახვრეტილი, გადასახლებული, რეპრესიებს ფიზიკურად გადარჩენილი უკრაინელი მწერლების ნაწარმოებები შეკრიბა და გამოსცა.

უკრაინული კულტურის წარმომადგენლების წინააღმდეგ რეპრესიების პირველი ტალღა ხარკოვის სახლი „სიტყვიდან“, კერძოდ, პოეტ მიხაილო იალოვის დაპატიმრებით დაიწყო, რასაც მისი მეგობრის, მიკოლა ხვილოვის თვითმკვლელობა მოჰყვა. 1920 წლების ბოლოს ლიტერატორთა კოოპერატივმა ლიტერატორებისთვის ააშენა ხარკოვის მწერალთა სახლი „სახლი „სიტყვა“, რომელსაც ასო „ს“-ს (სლოვოს) სიმბოლური ფორმა ჰქონდა და მისი მიზანი ერთ სივრცეში მოქცეული მწერლების მუდმივი იდეოლოგიური წნეხი იყო. აღნიშნული სახლიდან 1933-1938 წლებში რეპრესირებული იქნა სამოცდაათამდე ლიტერატორი, 11 მათგანი დახვრიტეს.

საბჭოთა პერიოდის უკრაინული ლიტერატურა სპეციფიკურ ჩარჩოში იყო მოქცეული. პროზაული ნაწარმოებების ძირითადი თემატიკა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შედეგების ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში ასახვის მოდელს წარმოადგენდა, ნაწარმოების მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ადამიანი, დადებითი, მშრომელი, პარტიის მებოტბე (მაგ. პავლო ტიჩინას „ლექ-

სების კრებული „პარტია მიგვიძღვის“), ხოლო საბჭოთა მწერალი - „ადამიანის სულის ინჟინერი“. საბჭოთა რეპრესიები უკრაინელი ინტელიგენციის წინააღმდეგ უშუალოდ შეეხო მწერალთა ინდივიდუალურ ბიოგრაფიასა და შემოქმედებას და მომდევნო წლების განმავლობაში მთლიანად შეცვალა უკრაინული ლიტერატურის განვითარების რაკურსი.

The literary policy of the Soviet government, the terror of 1937-1938 became a weapon of physical and moral destruction for Ukrainian literature and Ukrainian writers. Literary experts call this period the “Red Renaissance”, aka the “Executed revival” (a term that Jerzy Giedroyc first used in a letter to Yuriy Lavrynenko in 1958 and suggested him as the title of an anthology of Ukrainian literature of 1917-1933). Yuriy Lavrynenko, a famous Ukrainian researcher, publicist and literary critic, collected and published in an anthology of Ukrainian poetry the works of Ukrainian writers who were executed, exiled, and who physically survived the repressions.

The first wave of repressions against representatives of Ukrainian culture began with the arrest of the poet Mykhailo Yalovy from Kharkiv House “Slovo”, followed by the suicide of his friend Mykola Khvylovy. Kharkiv House of Writers “Slovo” building was built by the cooperative of the writers in the late 1920s for writers, which, symbolically, had the shape of the letter “C” (Slovo), and its purpose was constant ideological pressure of the writers in one space. In 1933-1938, about seventy writers were repressed from the mentioned house, 11 of them were shot.

Ukrainian literature of the Soviet period was included in a specific framework. The main theme of the prose works was a model of reflecting the results of the revolution and the civil war in the life of a person and society, the main character of the

work ought to have been a Soviet person, a positive, working person, a party eulogist (for example, collection of poems “The Party is our Guide” by Pavlo Tychyna), and the Soviet writer – “Engineers of the human soul”. The Soviet repressions against the Ukrainian intelligentsia directly affected the individual biography and creative works of the writers and during the following years completely changed the perspective of development of Ukrainian literature.

ნათია ნემსაძე
Natia Nemsadze

სასამართლო ლინგვისტიკა, როგორც
ლინგვისტური კვლევის მნიშვნელოვანი
მიმართულება
Forensic Linguistics as an Important Field of Linguistics
Research

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზა,
სპეციალური ცოდნა, ტექსტის ინტერპრეტაცია.
Keywords: forensic linguistic analysis, special knowledge, text analysis.

სასამართლო ლინგვისტიკა ენათმეცნიერების შედეგებით ახალი დარგია. ლინგვისტური ექსპერტიზის წარმოშობის დადგენაც რთულია. ძველი საბერძნეთის დრამატურგებიც ხშირად ადანაშაულებდნენ ერთმანეთს პლაგიატორობაში. ამა თუ იმ წერილობითი ტექსტის ნამდვილი ავტორის დადგენა კაცობრიობას შემდგომშიც აინტერესებდა: მაგალითად, არსებობდა თუ არა სინამდვილეში შექსპირი ან ვინ იყო ბიბლიის ავტორი და ა.შ. მე-19 საუკუნეში ავტორობის დადგენის მეთოდების განზოგადების მცდელობა ჰქონდათ მეცნიერებს თ.კ. მენდენჰოლს, აუგუსტუს დე მორგანს და ადნი იულს. ეს მეთოდები ეფუძნებოდა, მაგალითად, სიტყვისა და წინადადების საშუალო სიგრძის დადგენას. მაგრამ ამ წესების პრაქტიკული გამოყენება და ენათმეცნიერებასთან მისადაგება რთული აღმოჩნდა. ტერმინი „სასამართლო ლინგვისტიკა“ პირველად გამოიყენა შვედმა ენათმეცნიერმა იან სვარტვიკმა 1968 წელს. ის 1968 წელს მუშაობდა ლონდონის უნივერსიტეტში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელიც ოციოდე წლით ადრე მოხდა ლონდონში, კენსინგტონის რაიონში. ეს საქმე ეხებოდა რამდენიმე ქალის მკვლელობას, რის გამოც შემდგომ ამ ქუჩის სახელწოდებაც კი შეცვალეს. ამ საქმემ დასაბამი მისცა სასამართლო ლინგვისტიკის განვითარებას.

სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზის შინაარსი და ამოცანები აბსოლუტურად იდენტურია სხვა ლინგვისტური კვლევების ამოცანების. უბრალოდ, აქ ლინგვისტური ექსპერტიზის ამოცანებს საქმეების კატეგორიები განსაზღვრავს:

თუ, მაგალითად, საქმე ეხება მოქალაქის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვას, მაშინ ლინგვისტური ექსპერტიზა შეიძლება მიზანდ ისახავდეს შემდეგ ამოცანებს:

- მოსარჩელეს მიერ დავის საგნად მიჩნეული გამონათქვამის (მტკიცებულება, ვარაუდი, აზრი, შეფასებითი მსჯელობა) შინაარსის გრამატიკული მახასიათებლების დადგენას;

- მოსარჩელეს მიერ დავის საგნად მიჩნეული გამო-
ნათქვამის შინაარსის (მონაცემები ფაქტებისა და მოვლე-
ნების, დასკვნებისა და ა.შ. შესახებ) სემანტიკური და პრაგ-
მატიკული მახასიათებლების დადგენას;

- გამონათქვამში მოცემული ინფორმაციის მისადა-
გების დადგენას კონკრეტულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირ-
თან.

ლინგვისტური ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა
დამოკიდებულია შესაბამის საჭიროებებზე. ტექსტის ლინ-
გვოსტილისტური ანალიზის შედეგად უნდა განისაზღვროს
1) არის თუ არა ნახსენებ ფრაზებში უარყოფითი მონაცემე-
ბი ამა და ამ პირის შესახებ, თუ არის, როგორი ფორმით
არის ისინი გამოხატული (მტკიცებულება, კითხვა თუ რამე
სხვა ფორმით); 2) მტკიცდება თუ არა ტექსტის ლინგვოსტი-
ლისტური ანალიზით, რომ ის შეიცავს ინფორმაციას (მტკი-
ცებულებითი ფორმით) ეჭვმიტანილის მიერ მოქმედი კა-
ნონმდებლობის, მიღებული საზოგადოებრივი ნორმების
დარღვევის შესახებ; 3) რა მნიშვნელობით არის გამოყენე-
ბული ნახსენები სიტყვა, შესიტყვება, კონსტრუქცია და ა.შ.;

რა სტილისტური ხერხებია გამოყენებული ტექსტში
და როგორ ახასიათებენ ისინი ტექსტის ავტორს; ტექსტში
მოცემული ინფორმაცია ფაქტების კონსტატაციას წარმო-
ადგენს? თუ კი, მაშინ რა ფაქტების კონსტატაცია ხდება. თუ
ტექსტში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ავტორის
შეფასებით მსჯელობას? რა ემოციურ-ექსპრესიული ენობ-
რივი ხერხებია გამოყენებული? შეფასებითი მსჯელობის
შემოწმება შეუძლებელია ფაქტების კონსტატაციისგან გან-
სხვავებით.

ფორმალურ-სემანტიკური მიდგომა ტექსტის ანალი-
ზისას გულისხმობს გამონათქვამის კომუნიკაციური ფუნ-
ქციის გამოვლენას. ტექსტში ისეთი კონსტრუქციების არ-
სებობა, როგორებიცაა „მგონია“, „დავუშვათ“, „ჩემი აზრით“,
მიუთითებს სუბიექტური შეფასების ექსპლიკაციაზე.

პრაგმატიკული მიდგომა გულისხმობს ავტორის მსოფლმხედველობის ანალიზს ტექსტის შექმნის პერიოდში და ადრესატის მიერ მის აღქმას. პრაგმატიკული ანალიზის შედეგები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სემანტიკური მიდგომის მონაცემებს. პრაგმატიკული მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს, გავაფართოოთ და შევავსოთ სემანტიკური ანალიზი ფარული სამეტყველო ზემოქმედების გამოვლენის გზით. მაგალითად, შეხედულების მარკერების შემცველი გამონათქვამები არ ითხოვს მკითხველისგან პრობლემის განხილვას, ის ითხოვს წარმოდგენილი ფაქტების უაპელაციო მიღებას.

სასამართლო ლინგვისტიკა თავიდან სასამართლო საქმისწარმოების დროს გამოიყენებოდა, ისიც გამოძიების სტადიაზე, ჩადენილი დანაშაულის აღმოჩენის შემდეგ. ადრეულ ეტაპებზე სასამართლო ლინგვისტიკა იკვლევდა სასამართლო საქმეებში გამოყენებულ ენას. დღესდღეობით სასამართლო ლინგვისტიკა აღარ შემოიფარგლება კონკრეტული სოციალური გარემოთი; ის გახდა პროაქტიული და ლინგვისტები ჩართულები არიან დანაშაულებრივი ჯგუფების კვლევა-გამოვლენაში. სასამართლო ლინგვისტიკა დაკავშირებულია არა მხოლოდ იურისპრუდენციასთან, არამედ ბევრ სხვა დისციპლინასთან. ლინგვისტიკის ეს დარგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

Forensic linguistics is a relatively new branch of linguistics. It is also difficult to determine the origin of linguistic expertise. Ancient Greek dramatists also often accused each other of plagiarism. Determining the true author of this or that written text has been of interest to humanity since then: for example, did Shakespeare really exist or who was the author of the Bible, etc. In the 19th century, the scholars Mendenhall, Augustus de Morgan, and Andy Yule tried to generalize the methods of deter-

mining authorship. These methods were based on, for example, determining the average length of words and sentences. But applying these rules in practice and adapting them to linguistics turned out to be difficult. The term “forensic linguistics” was first used by the Swedish linguist Jan Swartvik in 1968. He worked at the University of London in 1968 on one of the high-profile cases that had occurred twenty years earlier in London’s Kensington area. This case was related to the murder of several women, hence, even the name of that street was changed later. This case gave rise to the development of forensic linguistics. The content and tasks of forensic linguistics are absolutely identical to the tasks of other linguistic studies. The only difference is that here the tasks of linguistic expertise are determined by the categories of cases.

If, for example, it concerns the protection of a citizen’s dignity and business reputation, then linguistic expertise can be aimed at the following tasks:

- determining the grammatical characteristics of the content of the statement (evidence, assumption, opinion, evaluative reasoning) considered by the claimant to be the subject of the dispute;
- determining the semantic and pragmatic characteristics of the content of the statement considered by the claimant to be the subject of the dispute (data on facts and events, conclusions, etc.);
- determining the applicability of the information contained in the statement to a specific natural or legal person.

The requirement for linguistic expertise depends on the relevant needs. As a result of the linguistic forensic analysis of the text, it should be determined 1) whether there are negative data about this and that person in the mentioned phrases, if there is, in what form they are expressed (proof, question, or something else); 2) whether it is proved by the linguistic analysis

of the text that it contains information (from the evidence) about the violation of the applicable legislation and accepted public norms by the suspect; 3) in what sense is the mentioned word, phrase, construction, etc. used; what stylistic techniques are used in the text and how they characterize the author of the text; is the information given in the text a statement of facts? If yes, then what facts are ascertained? Does the information given in the text represents the judgment of the author? What emotional-expressive language methods are used? Evaluative judgments cannot be verified, unlike fact-finding.

The formal-semantic approach to text analysis involves revealing the communicative function of an expression. The presence of such constructions in the text as “I think”, “let’s suppose”, “in my opinion” indicates the explication of a subjective assessment. The pragmatic approach involves the analysis of the worldview of the author during the creation of the text and its perception by the addressee. The results of the pragmatic analysis should not contradict the data of the semantic approach. The pragmatic approach allows us to expand and complement the semantic analysis through the detection of hidden speech effects. For example, expressions containing opinion markers do not ask the reader to consider the problem, they ask to accept the presented facts without appeal.

Forensic linguistics was initially used during court proceedings, that too at the stage of investigation, after the discovery of a committed crime. At its early stages, forensic linguistics studied the language used in court cases. Nowadays, forensic linguistics is no longer limited to a specific social environment; it has become proactive and linguists are involved in research and detection of criminal groups. Forensic linguistics is related not only to jurisprudence but also to many other disciplines. This field of linguistics deserves special attention.

ელისო ოდიკაძე
Eliso Odikadze

ენისა და პოეზიის მიმართება ჰაიდეგერის
ფილოსოფიურ კონცეფციაში
Relation between the Language and Poetry in the
Philosophical Conception of Heidegger

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ilia State University
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
School of Arts and Sciences

საკვანძო სიტყვები: ენის ფილოსოფია, პოეზია, ენა.
Keywords: philosophy of language, poetry, language.

მე-20 საუკუნეში ფილოსოფოსების ერთ დაინტერესება ეგრეთ წოდებულმა „ენასთან დაბრუნებამ“ („Wende zur Sprache“) განაპირობა. ეს მოვლენა ფილოსოფიისთვის განმსაზღვრელ, მაკონსტიტუირებელ ნიშნად იქცა. ამ პერიოდის ფილოსოფიას ენის ფილოსოფიადაც მოიხსენიებენ. ხშირად ისმის კითხვა: ხომ არ უნდა გავიგოთ ნებისმიერი ფილოსოფია, როგორც ენის ფილოსოფია, ან თუნდაც როგორც ენის კრიტიკა (Borsche).

ენის ფილოსოფია როგორც დამოუკიდებელი ფილოსოფიური დისციპლინა მე-20 საუკუნეში დაფუძნდა. როგორც ცნობილია, ფილოსოფოსების ინტერესი ენის მიმართ ანტიკურ ხანას უკავშირდება („პლატონის დიალოგი „კრათილოსი“ ევროპული ენის ფილოსოფიის ყველაზე ძველი, სრულად შემონახული დოკუმენტია“ (კრაუსი), შესაძლებელია ითქვას, რომ ენის ფილოსოფიურ აზროვნებასა და ფილოსოფიას საერთო წარმომავლობა აკავშირებთ - ენის ფენომენის პრობლემების კვლევა ისეთივე ძველია - როგორც ფილოსოფია. ამის მიუხედავად, ენას როგორც ფილოსოფიურ ტერმინს მოკლე ისტორია აქვს. ენის ფილოსოფიის, როგორც ფილოსოფიური დისციპლინის, ახალი ეპოქის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს ჰერდერის მიერ პირველად გამოყენებული სიტყვათშეთანხმება „ენის ფილოსოფია“ („Sprachphilosophie“ Unterwegs zur Sprache).

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის ანალიტიკური ფილოსოფია ენის სტრუქტურის ლოგიკურ ანალიზს ეფუძნებოდა. ჰაიდეგერის ერთ დაინტერესება კი ლიტერატურას უკავშირდება. ჰაიდეგერის ფუნდამენტური ონტოლოგია ახალ ტერმინოლოგიას მოითხოვს და მისი ფილოსოფია არსებითად სწორედ ამ საკითხს იკვლევს: არის თუ არა, ან როგორ არის შესაძლებელი „სხვაგვარად მეტყველება“ („anders Sprechen“). სწორედ ამ ახალი, თუ სხვაგვარი მეტყველების ტოპოსად ჰაიდეგერს ლიტერატურა, კერძოდ, პოეზია მიაჩნია. იგი არ ავითარებს ხელოვნების ან ლიტე-

რატურის თეორიას ვინრო გაგებით. ამის მიუხედავად, მისი ფილოსოფიის გავლენა უდავოა ხელოვნებისა თუ ლიტერატურის თეორიებზე მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში.

ადრეულ ნაწერებში ჰაიდეგერი მხოლოდ გაკვრით საუბრობს პოეზიაზე (Sein und Zeit & 34). 1934/35 წლებში ფრაიბურგში წაკითხულ ლექციებზე ჰოლდერლინის შემოქმედების შესახებ (“Hymnen Germanien”, “Der Rhein”) პოეზია ცენტრალურ ადგილს იკავებს ჰაიდეგერთან - „აზროვნების არსის წვდომა მხოლოდ ენის არსის გაგებითაა შესაძლებელი, ხოლო ენის არსს მხოლოდ პოეზია ავლენს“. ჰაიდეგერი პოეზიას „ერის წინარე ენას“ (Ursprache des Volkes) უწოდებს. მოგვიანებით (1950) ჰაიდეგერი წაკითხავს მოხსენებას სახელწოდებით „ენა“, რომლის მთავარი სათქმელი კვლავ ენისა და პოეზიის ურთიერთმიმართებაა, თრაკლის ლექსში („ზამთრის საღამო“) ჰაიდეგერი აკვირდება თუ როგორ „მეტყველებს ენა“ (die Sprache spricht). 1957/58 წლებში რამდენიმე გამოსვლაში, სახელწოდებით „ენის არსი“, ჰაიდეგერი შ. გეორგეს ლექსის „სიტყვა“ (“Das Wort”) განხილვისას აზროვნებისა და პოეზიის ყველაზე მჭიდრო კავშირზე საუბრობს. 1936 წელს მოხსენებაში „ჰოლდერლინი და პოეზიის არსი“ ჰაიდეგერი კვლავ აკრიტიკებს მიდგომას, რომლის მიხედვითაც ენა გარკვეულ ნიშანთა ერთობლიობაა, ენა მხოლოდ აზრის გამოხატვის საშუალებაა: „ჩვენ კი არ ვფლობთ ენას, არამედ ის განაგებს ჩვენით“, „სამყარო მხოლოდ იქ არის, სადაც ენაა“, „ენა ყოფიერების სახლია“.

ენის არსის დადგენისას ჰაიდეგერი არ მიმართავდა ენის ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების კრიტიკას, არამედ (განსაკუთრებით ბოლო წლებში) პოეზიას. შესაბამისად, სწორედ ამიტომ მისი შემოქმედების გავლენა მეტად აისახა არა ენის ფილოსოფიაზე, არამედ ხელოვნებასა და პოეზიაზე (ი. აიხინგერ, ი. ბახმანი, ე. კესტნერი). ენის ფენომენის შესწავლისთვის ჰაიდეგერის მიერ გამოთ-

ქმული მოსაზრებები დღემდე რჩება არა მხოლოდ განხილვისა და რეფლექსიის საგნად, არამედ ძალიან მნიშვნელოვან წყაროდ ენის კვლევით დაინტერესებული მეცნიერებისათვის.

ლიტერატურა:

- Borsche, T. (1996): *Klassiker der Sprachphilosophie*. Muenchen Verlag C. H. Beck.
- Kraus, M. (1996): *Philosophiehistorischer Kontext*. Muenchen Verlag C. H. Beck.
- Posselt, G. Flatscher, M. (2018): *Sprachphilosophie*. Tübingen facultas.

In the 20th century, philosophers became interested in language due to the so-called “Linguistik Turn” (“Wende zur Sprache”). This event became a defining, unconstitutional sign for philosophy. The philosophy of this period is also referred to as the philosophy of language. The question is often asked: Should we understand any philosophy as a philosophy of language, or even as a criticism of language? (Borsche, 1996,7)

Philosophy of language as an independent philosophical discipline was established in the 20th century. As it is known, philosophers’ interest in language dates back to antiquity (“Plato’s dialogue “Cratylus” is the oldest fully preserved document of European language philosophy” (Kraus, 1996, p. 19). It is possible to say that the philosophical thought of language and philosophy have a common origin - the study of the problems of the language phenomenon is as old as philosophy. Despite this, language as a philosophical term has a short history. The beginning of a new era of the philosophy of language as a philosophical discipline can be considered as the term “philosophy of language”

ge" ("Sprachphilosophie" Unterwegs zur Sprache) first used by Herder.

As is known, the analytical philosophy of the 20th century was based on the logical analysis of the structure of language. Heidegger's interest in language is related to literature. Heidegger's fundamental ontology requires a new terminology, and his philosophy essentially investigates this very question: whether or how it is possible to "speak otherwise" ("anders Sprechen"). Heidegger considers literature, in particular, poetry, to be the topos of this new or different kind of speech. It does not develop a theory of art or literature in the narrow sense. Despite this, the influence of his philosophy on theories of art and literature in the second half of the 20th century is undeniable.

In his early writings, Heidegger speaks only vaguely of poetry (Sein und Zeit 34). In 1934/35, at the lectures given in Freiburg on Heidegger's work ("Hymnen Germanien", "Der Rhein"), poetry occupies a central place in Heidegger's –"The essence of thought can be accessed only by understanding the essence of language, and the essence of language is revealed only by poetry." Heidegger calls poetry "the primordial language of the nation" (Ursprache des Volkes). Later (1950), Heidegger will give a lecture entitled "Language", where the main theme is still the relationship between language and poetry. In Heidegger's poem ("Winter Evening"), Heidegger observes how "language speaks" (die Sprache spricht). In several speeches of 1957/58 entitled "Essence of Language", when discussing Stefan George's poem "Das Wort", Heidegger speaks of the closest connection between thought and poetry. In his 1936 paper Heidegger and the Essence of Poetry, Heidegger again criticizes the view that language is a set of certain signs, that language is only a means of expressing thought: "We do not own the language, but it rules through us", "The world is only where the language is", "Language is the house of existence".

In establishing the essence of language, Heidegger did not turn to criticism of the philosophy of language as a science, but (especially in recent years) to poetry. Accordingly, that is why the influence of his creations was more reflected not on the philosophy of language, but on art and poetry (I. Eichinger, I. Bachman, E. Kestner). The opinions expressed by Heidegger for the study of the phenomenon of language remain not only a subject of discussion and reflection, but also an important source for scholars interested in the study of language.

References

- Borsche, T. (1996): *Klassiker der Sprachphilosophie*. Muenchen Verlag C. H. Beck.
- Kraus, M. (1996): *Philosophiehistorischer Kontext*. Muenchen Verlag C. H. Beck.
- Posselt, G. Flatscher, M. (2018): *Sprachphilosophie*. Txbingen facultas.

ნინო პოპიაშვილი
Nino Popiashvili

თანამედროვე პოეტური ენის თავისებურებები:
ვიზუალური და მინიმალისტური ლიტერატურა
Peculiarities of Modern Poetic Language: Visual and
Minimalist Literature

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities*

საკვანძო სიტყვები: პოეტური ენა, თანამედროვე ლიტერატურა,
მინიმალისტური ლიტერატურა.

Keywords: poetic language, modern literature, minimalist literature.

თანამედროვე პოეზია განიხილება, როგორც ტრადიციულის დეკონსტრუქცია და ახალი ფორმებისა და შინაარსის ძიების შესაძლებლობა. ავტორი, როგორც მედიუმი, საკუთარ ტექსტსა და მის ინტერპრეტაციას შორის უკვე გარკვეულ ტენდენციას ემნის. ტრადიციულ ჟანრებსა და ფორმებს შორის განსხვავებული, პოსტმოდერნისტული მეთოდებითა და აპარატით შექმნილი ტექსტები ახლებურ შესაძლებლობებს ავლენს. მინიმალიზმი რითმასა და რიტმში, ფორმიდან შინაარსში და შინაარსიდან ფორმაში მოგზაურობა, ორთოგრაფიის, ლექსიკისა და სემანტიკის ფილტრაცია თანამედროვე პოეზიის გამოხატულების ერთგვარ საშუალებად იქცა.

პოეზია, მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი ფორმა, ეპოქების მიხედვით იცვლებოდა. ეპიკური ჟანრიდან მინიმალისტურ ჟანრამდე მრავალმა საუკუნემ განვლო, თუმცა პოეზიის მთავარი მახასიათებელი, მეტრულ-რიტმული სახე და სიტყვათა ნაკადის რიტმული შეფარდება, მისი მთავარი ნიშანია. ტრადიციულ მინიმალისტურ პოეზიაში სიტყვა, როგორც კონცეპტი, უმეტესად მრავალშრიანია.

თანამედროვე პოეტური ენის მახასიათებელთა შორის უთუოდ საგულისხმოა ტრადიციულ მახასიათებლებთან ერთად ფორმისა და შინაარსის ძიების ახლებური ტენდენციები, მათ შორის, მინიმალისტური და ვიზუალური ჟანრის ლიტერატურის განვითარება, რაც რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას:

- პოსტმოდერნული თამაშები;
- ტექნოლოგიური საუკუნის ეკონომიურობით გამოწვეული შეკუმშული ფრაზები;
- ტრადიციად ქცეული ლაკონიური ფრაზების გამოყენება;
- ენის ეკონომიურობის გაგრძელება;
- მეტაფორების, კონცეპტების ჩამოწერა;

- გონებრივი იერიში - მოიფიქრო და შეთხზა მოკლე ტექსტი ღრმა შინაარსით;
- ენობრივი თამაშები;
- ენობრივი ექსპერიმენტები;
- „ძალადობა“ ენაზე, რათა ავტორმა ათქმევინოს და ენამ გამოათქმევინოს განსხვავებული, დღემდე, ამ კონკრეტულ ქმნადობამდე, ამ კონკრეტულ წერილობით თუ ზეპირმეტყველ აქტამდე, არგამოთქმული.

მოხსენებაში ვისაუბრებთ თანამედროვე პოეტური ენის თავისებურებებზე: მინიმალისტურ და ვიზუალურ პოეზიაზე გერტ რობერტ გრიუნერტის, არამ საროიანის, გორან გრეიდერის, რუდოლფ ოტო ვიმერისა და სხვა ავტორების შემოქმედებაზე დაყრდნობით.

Contemporary poetry is seen as a deconstruction of the traditional and an opportunity to explore new forms and content. The author as a medium already creates a certain tendency between his own text and its interpretation. Different between traditional genres and forms, texts created with postmodernist methods and apparatus reveal new possibilities. Minimalism in rhyme and rhythm, the journey from form to content and from content to form, filtering of orthography, vocabulary and semantics have become a kind of means of expression of modern poetry.

Poetry, one of the main and oldest forms of fiction, has changed over the ages. Many centuries have passed from the epic genre to the minimalist genre, but the main characteristic of poetry, the metrical-rhythmic form and the rhythmic ratio of the flow of words, are its main features. In traditional minimalist poetry, the word as a concept is often multi-layered.

Among the characteristics of modern poetic language, along with traditional characteristics, new tendencies in the search for form and content, including the development of minimalist and visual genre literature, are undoubtedly significant, which can be explained by several reasons:

- Post-modern games;
- condensed phrases caused by economy of technological age;
- the use of concise phrases that have become a tradition;
- continuation of the economy of language;
- writing down metaphors, concepts;
- brainstorming - think and create a short text with deep content;
- language games;
- language experiments;
- “Violence” in the language, so that the author lets the language express it and the language gives the author the ability to express something different, until now, until this specific creation, this specific written or oral act has not been expressed.

In the report, we will talk about the features of modern poetic language: minimalist and visual poetry based on the works of Gert Robert Grünert, Aram Saroyan, Göran Greider, Rudolf Otto Wimmer and other authors.

მანანა რუსიეშვილი
Manana Rusieshvili

თარგმანის სოციოლინგვისტური და იდეოლოგიური
ასპექტები
Sociolinguistic and Ideological Aspects of Translation

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეჲბათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, იდეოლოგია, სოციოლინგვისტიკა,
პრაგმატიკა, ჯ. სელინჯერი.
Keywords: translation, ideology, sociolinguistics, pragmatics, J. Salinger.

თარგმანი განიხილება, როგორც პრაგმატიკული, სოციოლინგვისტური და ინტერკულტურული აქტი. იგი წარმოჩინდება, როგორც კულტურათა დიალოგი, ადგილი, სადაც დედნისა და სამიზნე კულტურების მახასიათებლები თანადროულად გამოვლინდება. (Venuti & Robinson).

კულტურული თვალსაზრისით მარკირებული ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი უნდა იცნობდეს ორივე კულტურისათვის დამახასიათებელ სოციალურად მიღებული თავაზიანობის ნორმებს და მათ შეუდაროს და მიუსადაგოს თარგმანი.

საბჭოთა რეჟიმი მიესალმა ჯ. სელინჯერის ნაშრომს „თამაში ჭვავის ყანაში“, რომელიც 1951 წელს გამოქვეყნდა. ჰოლდენ კოლფილდი საინტერესო აღმოჩნდა საბჭოთა კავშირისთვის, როგორც „თანამედროვე ამერიკული საზოგადოებისა და ინსტიტუციების მკაცრი კრიტიკოსი“. ამავდროს, საბჭოთა ინტელიგენცია ჰოლდენის ხმას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მიმართავდა (Baer).

მოხსენებაში ყურადღება ეთმობა სელინჯერის ტექსტისთვის დამახასიათებელ ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და თავაზიანობის თეორიის მახასიათებლებს და მათი თარგმნის თავისებურებებს სელინჯერის რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ ორ განსხვავებულ იდეოლოგიურ ეპოქაში შესრულებულ ორი თარგმანის მიხედვით. პირველი თარგმანი შესრულდა 1960-იან წლებში, საბჭოთა ცენზურის პირობებში, ვახტანგ ქელიძის მიერ, ხოლო მეორე თარგმანი შესრულდა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში გია ქუმბურიძის მიერ, განსხვავებული სათაურით (კლდის პირზე, ჭვავის ყანაში).

მოხსენებაში გაანალიზდება შემდეგი პრობლემები:

1. რა სტრატეგიები იხმარება სელინჯერის ამ ნაწარმოების თარგმანებში სლენგისა და ტაბუდადებული სიტყვებისა და ფრაზების თარგმნისას ქართულ ენაზე?

2. ახდენს თუ არა გავლენას ეპოქის იდეოლოგია და ცენზურა პრაგმატიკული, სოციოლინგვისტური და კულტურული მახასიათებლების ან თავაზიანობის თეორიის სტრატეგიების გადმოტანაზე დედნის ტექსტიდან თარგმანში?

Translation is considered a pragmatic, sociolinguistic and intercultural act. At the same time, it is classed as a dialogue of cultures, the place where the characteristics of the source and target cultures are revealed simultaneously. (Venuti 1995 & Robinson, 1997)

When translating a culturally specific text, the translator must be familiar with the socially accepted politeness norms characteristic of both cultures and adapt the translation to them.

The Soviet regime welcomed J. Salinger's "The Catcher in the Rye", which was found interesting as a harsh critic of modern American society and institutions. At the same time, the Soviet intelligentsia turned the character Holden Caulfield's words and actions against the Soviet regime. (Baer, 1912: 97)

This paper focuses on linguistic, sociolinguistic and politeness theory features characteristic of Salinger's text and the ways they are transposed according to two Georgian translations of Salinger's novel "The Catcher in the Rye" made in two different ideological epochs. The first translation was made in the 1960s, under Soviet censorship by Vakhtang Chelidze, while the second one was translated by Gia Chumburidze and published later, during independent Georgia.

More specifically, the following issues will be analysed:

1. What strategies are used when translating slang and taboo words and phrases from English into Georgian?
2. Does the ideology and censorship of the era influence the translation of pragmatic, sociolinguistic, cultural or politeness theory markers?

მარიამ ფილინა
Mariam Filina

იულიან ტუვიმი - რუსთაველის პოემის
მთარგმნელი
Julian Tuwim - Translator of Shota Rustaveli's Poem

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზუდ მეცნიეეხებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“ პოლონურად, ორსაუკუნოვანი ისტორია, კონსტანტი რდულტოვსკი, კაზიმეჟ ლაპჩინსკი, იულიან ტუვიმი.

Keywords: Shota Rustaveli's poem in Polish, a two-century history in Poland, Konstany Rdultowski, Kazimierz Lapczynski, Julian Tuwim.

პოლონური ინტერესების სფეროში შოთა რუსთაველის ჩართვის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში დაგროვდა სხვადასხვა ხასიათის ძალზე მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც, გარდა თარგმანების გამოცემებისა, სხვა ასამდე დასახელებას შეიცავს.

პოლონელი ორიენტალისტის, კონსტანტი რდულტოვსკის, სტატია რუსთაველის შესახებ ერთ-ერთი პირველია მარი ბროსეს შრომებისა და გერმანულ ლიტერატურაში მისი ხსენების შემდგომ.

პოლონური ტექსტი დაიბეჭდა ვილნიუსში 1830 წელს, „ლიტვის კალენდარში“. თხზულების სათაურია „შოთა რუსთაველი, ქართველი პოეტი“. რუსულ ენაზე სტატია გამოქვეყნდა 1833 წელს ჟურნალ „ტელესკოპში“.

რუსთაველთან მკითხველის შემდგომი შეხვედრა უკავშირდება არა ლიტერატორს, არამედ ინჟინერს - გადასახლებულ კაზიმეჟ ლაპჩინსკის. გიორგი ერისთავის დახმარებით შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი. თარგმანი და წინასიტყვაობა გამოქვეყნდა 1863 წელს ალმანახ „ვარშავის ბიბლიოთეკაში“. მას შემდეგ, რაც ამის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოში, მასზე ბევრი დაინერა.

1970-იან წლებში შესრულებული იყო რუსთაველის ორი სრული თარგმანი. ეს არის იეჟი ზაგურსკის და იგორ სიკირიციკის თარგმანები. მაგრამ 1930-იან წლებში იყო პოემის თარგმნის კიდევ ერთი მცდელობა, რომელსაც აქვს დიდი ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობა.

მე-20 საუკუნის გამოჩენილმა პოლონელმა პოეტმა იულიან ტუვიმმა, რომელსაც დიდი მთარგმნელობითი მიღწევები ჰქონდა, რუსთაველის პოემას მისი სრული თარგმანის შესრულების მიზნით მოჰკიდა ხელი. 1937 წელს გამოცემულ კრებულში მოყვანილი იყო პროლოგის 10 სტროფის თარგმანის პირველი ვარიანტი. ომის დამთავრების შემ-

დეგ ტუვიმმა განაგრძო მუშაობა და შექმნა პროლოგის 31 სტროფის თარგმანის მეორე ვარიანტი.

საოცარია ის, რომ, იზოლაციის მიუხედავად, რომელიც წარმოიქმნა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, პოლონელმა საზოგადოებამ აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე. 1937 წელს ვარშავაში გამოიცა კრებული „შოთა რუსთაველი“. ეს არის მცირე ზომის ტომი, რომელიც შეიცავს სამ სტატიასა და ორ ნაწყვეტს პოემიდან (სულ 15 გვერდი). აქვე გვხვდება პოეტისა და თამარ მეფის პორტრეტები.

სწორედ ამ კრებულში დაიბეჭდა იულიან ტუვიმის თარგმანი.

ყველა მთარგმნელი, რომლებმაც კი მიმართეს რუსთაველს, მიიჩნევს, რომ ტუვიმისეული თარგმანი მიუწვდომელი ნიმუშია. სავარაუდოდ, პოეტი მასზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა, შექმნა რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან დასრულებული სახით შემორჩენილია მხოლოდ ორი. მეორე ჯერ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ ქართული პოეზიის სამივე ანთოლოგიაში შევიდა.

მაგრამ იულიან ტუვიმმა უარი თქვა ამ გრანდიოზულ გეგმაზე. ჯერ ერთი, ეს იყო პოეტის ცხოვრების უკანასკნელი წლები, მეორეც, მოტივად პოეტმა ენის უცოდინრობა დაასახელა. ეს გარემოება პოეტს თავიდანვე აწუხებდა. ტუვიმმა დატოვა სიანტერესო ჩანაწერები თავის თარგმანებზე, ასევე რუსთაველისადმი და ამ პოემის შემსწავლელი მეცნიერებისადმი მიმართული საკუთარი პოეტური სტრიქონები. ამ სტრიქონების თარგმანები და მათზე გამოხმაურებები მაშინვე გაჩნდა.

მართალია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან არ გააგრძელა თარგმანზე მუშაობა, მაგრამ პოეტის ასეთი ინტერესი რუსთაველის პოემის მიმართ მეტად მნიშვნელოვანია.

During the nearly two-century history of Rustaveli's involvement in the circle of Polish interests, a variety of very important materials have been accumulated, which, in addition to translation editions, contain about a hundred other titles.

Polish orientalist Konstantin Rdultowski's article about Rustaveli is one of the first after the works of Marie Brosse and its mention in German literature. The Polish text was printed in Vilnius in 1830 in the "Lithuanian Calendar". The essay is titled "Shota Rustaveli, Georgian Poet~. In Russian, the article was published in 1833 in "Teleskop".

The next meeting of the reader with Rustaveli is related to Kazimierz Lapczynski, a political exile, not a writer, but an armed engineer. He performed a prose translation of the poem with the help of Giorgi Eristavi. The translation and the foreword were published in 1863 in "Warsaw Library". After it became known in Georgia, a lot was written about it.

In the 1970s, two complete translations of Rustaveli were published - by Jerzy Zagursky and Igor Sikiritsky. But in the 1930s there was another attempt to translate the poem, which has an important historical and literary significance.

The prominent Polish poet of the 20th century, Julian Tuwim, who has great translation achievements, applied to Rustaveli's poem in order to create its complete translation. In the collection published in 1937, the first version of the translation of the 10 stanzas of the prologue was given. After the end of the war, Tuwim continued his work and created the second version of the translation of 31 stanzas of the prologue.

It is amazing that despite the political isolation that occurred between the two world wars, the Polish society celebrated the 750th anniversary of Shota Rustaveli's poem. In 1937, the collection "Shota Rustaveli" was published in Warsaw. This is a small volume containing three articles and two excerpts from the poem (15 pages in total). The collection includes portraits of

the poet and King Tamar. It was in this collection that Julian Tuwim's translation was published.

All the translators who consulted Rustaveli believe that the Tuwim's translation is an unattainable sample. Presumably, the poet worked on it for a long time, created several versions, of which only two have survived in their finished form. The second time it was published in a periodical, and then it was included in all three anthologies of Georgian poetry.

But Julian Tuwim refused to implement this grandiose plan. Firstly, these were the last years of the poet's life, and the second motive was the poet's lack of knowledge of the language. This circumstance worried the poet from the beginning. Probably, the "instinct of native speech", which the poet talks about in his works, could not dictate to him a further way in which his work on Rustaveli would develop. Tuwim left interesting notes on his translations, as well as his own poetic lines addressed to Rustaveli and the scholars studying this poem. Translations of these lines and responses to them immediately appeared.

Although he did not continue his work after the Second World War, the significance of the interest of such an outstanding poet in Rustaveli's poem is of great importance.

მანანა ქაჯაია
Manana Kajaia

გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი მასალა გიორგი
წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით
The Material Published in the Newspaper “Kvali” on the
Death of Giorgi Tsereteli

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

საკვანძო სიტყვები: გაზეთი „კვალი“, გიორგი წერეთელი.
Keywords: newspaper “Kvali”, Giorgi Tsereteli.

როგორც ვიცით, გ. წერეთელი 1900 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მასალები „კვალში“, ძირითადად, # 3-ში დაიბეჭდა. ჩვენი აზრით, საინტერესოა საკმაოდ ვრცელი ნეკროლოგი, რომელიც მწერლის მამის, ექვთიმე წერეთლის, მოკლე, მაგრამ აზრიანი დახასიათებით იწყება.

ასე რომ, გ. წერეთელს მკითხველი არა მარტო შესანიშნავ პიროვნებად, არამედ ღირსეულ ოჯახში აღზრდილ ადამიანად აღიქვამს.

ნეკროლოგში აღნიშნულია, რომ გ. წერეთელი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას განსაკუთრებით დაინტერესდა ემბრიოლოგიით და ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა ჩანასახის განვითარების თაობაზე საკუთარი თეორია შექმნა. აქვე აღნიშნულია, რომ მწერალი 1861 წლის სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობდა. ავტორი დაწვრილებით ჩამოთვლის გ. წერეთლის ბიოგრაფიის საყურადღებო მომენტებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „გიორგის იდეალი დასავლეთი ევროპა იყო, ის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი ცხოვრება ევროპული ცხოვრების გზით მიდიოდა და ღონესა და ნიჭს არ ზოგავდა, რომ ხალხი გამოეფხიზლებინა და საზოგადოებისათვის ახალი დროის მოთხოვნილება და მიდრეკილება დაენახებინა“.

ჩვენი აზრით, გ. წერეთლის შეხედულებათა ამგვარი შეფასება ნამდვილად რეალურია და, მით უმეტეს, დღეს მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს. ავტორის აზრით, სწორედ ევროპული ცხოვრების წესის უშუალოდ გაცნობის მიზნით, გ. წერეთელი სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად 1873 წელს ჯერ ციურიხში, ხოლო იქიდან ჟენევაში გაემგზავრა. შემდეგ ნეკროლოგში ისევ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გადმოცემული მწერლის ბიოგრაფიის საკვანძო მომენტები. ავტორს მოყვანილი აქვს მწერლის ცოცხალი სიტყვა, რომელიც

დღეს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული აქტუალობით უღერს: „სანამ ჩვენი ხალხი ქონებრივად ცოტა არ მომჭობინდა, სურვილიც რომ დაეხადოს, მაინც ვერ დაწინაურდება გონებხივათ“.

ჩვენი აზრით, ნეკროლოგში, ძალიან ლაკონიურად, მაგრამ არსებითად სწორად არის განსაზღვრული გ. წერეთლის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

It is a well-known fact that G. Tsereteli passed away on January 12, 1900. His obituary was published in “Kvali”, in № 3. In our opinion, the extensive obituary, starting with a short but meaningful description of the writer’s father, Ekvtime Tsereteli, is rather interesting.

Thus, the reader perceives G. Tsereteli not only as an excellent person, but also as a person brought up in a decent family.

It is stated in the obituary that while studying at St. Petersburg University, G. Tsereteli showed a special interest in embryology and even being a second-year student developed his own theory on the evolvement of the embryo. It is also noted that the writer participated in the students’ meetings of 1861. The author thoroughly enumerates significant moments from G. Tsereteli’s biography and underlines that “Giorgi’s ideal was West Europe. He was sure that our life was following the path of European life and spared no effort and talent to awaken people and show society the needs and inclinations of the new time.”

In our opinion, such an evaluation of G. Tsereteli’s views is true, and researchers should pay special attention to it, especially today.

According to the author, G. Tsereteli and other young Georgians traveled to Zurich and Geneva in 1873 in order to familiarize themselves with European culture.

Then in the obituary, again in chronological order, the key points of the writer's biography are presented. The author cites the living words of the writer, which, in our opinion, sound especially relevant: "Even if our people desire to, they will be unable to progress mentally until they improve their material circumstances."

In our perspective, the obituary defines G. Tsereteli's position in the history of Georgian literature in a very brief but fundamental way.

ლალი ქეცბა-ხუნდაძე
Lali Ketsba-Khundadze

თარგმანი, როგორც ამოსავალი ტექსტის
ინტერპრეტაცია
Translation as the Interpretation of the Source Text

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაზუდ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of humanities

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, ინტერპრეტაცია, ტექსტის თარგმნადობა,
ტექსტის უთარგმნელობა, კულტურსპეციფიკური რეალები.

Keywords: translation, interpretation, translatability of the text,
untranslatability of the text, culture-specific realities.

ლიტერატურული თარგმნის მეცნიერული კვლევა უმეტესწილად კერძო ფილოლოგიების კუთვნილი ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის ჩრდილშია მოქცეული.

ტრადიციულად, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ეს განპირობებული იყო თარგმანის per definitionem განსაზღვრებით, როგორც ესთეტიკური პერსპექტივიდან ორიგინალთან შედარებით დაბალი ხარისხის არაორიგინალური ლიტერატურული ფორმა.

ბოლო ათწლეულებში ევროპის კავშირის ლიტერატურების ისტორიის გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის საფუძველზე დაწყებულია დისკუსიები ლიტერატურათმცოდნეობის ტრანსკულტურული დიაობის თაობაზე, რომლის ძირითადი ცნებებია „თარგმანის ინტრასისტემური იმპორტი და ექსპორტი“ ორ (მაგ.: ფრანგული და ფლამანდური) და მრავალენოვან ლიტერატურულ სივრცეებში.

ცნობილია, რომ via translation სამიზნე ენობრივსა და კულტურულ სფეროებზე გარკვეულწილად ძალაუფლება და ზემოქმედება ხორციელდება, რაც ამ სფეროებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მკითხველზე ზეგავლენა მნიშვნელობის ინტერკულტურული სფეროა, რამდენადაც თარგმანებში ამოსავალი ტექსტის თაობაზე დასკვნების გამოტანა შეიძლება: **თარგმანი, უპირველეს ყოვლისა, ამოსავალი ტექსტის ინტერპრეტაციას, მისი მნიშვნელობის პოტენციალის გავრცობას და გაღრმავებას წარმოადგენს.**

ლიტერატურული ტექსტის რეცეფციის ესთეტიკის დი-აქრონიულმა ინტერესმა გადაინაცვლა განსხვავებული კულტურებისა და ენობრივი სივრცეების აღქმასა და გაგებაზე. აქ განსხვავდება ტრადიციული კონცეპტები და მიდგომები და ტრანსლატორული ავანგარდი. ორივე მიდგომა ერთი სპექტრის ორ განსხვავებულ ასპექტზე აკეთებს აქ-

ცენტს: ორიგინალის ე.წ. ადეკვატურ თარგმანსა და თავისუფალ ადაპტაციაზე.

თარგმანის პრაქტიკისადმი თანამედროვე კონვენციონალური მიდგომა ტრანსლატოლოგიური ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ტექსტის თარგმნადობისა და უთარგმნელობის პრობლემის განხილვისას, რაც გერმანული ენის ფილოსოფიას, თეორიასა და პოეტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ისეთი ავტორების კვლევებში, როგორებიც იყვნენ: იოჰან გოტფრიდ ჰერდერი, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი, ფრიდრიხ შლაიერმახერი და მეოცე საუკუნეში სეპირ უორფი, ვალტერ ბენიამინი. აზროვნების პროცესების განსხვავებულობა სხვადასხვა ენის მატარებელ ადამიანებში თარგმანის პროცესების, შინაარსების ერთი ენიდან მეორე ენაში გადატანის მიმართ ამ მეცნიერების სკეფსისს განაპირობებდა. აგამემნონის თარგმანის ვ. ფონ ჰუმბოლდტის მცდელობამ, ის მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ერთი ენის არც ერთი სიტყვა არ შეიძლება იყოს მეორე ენის სიტყვის იდენტური, რადგან ენები სამყაროს სხვადასხვაგვარად მათში ჩადებული სამყაროს ხატის მიხედვით ანაწევრებენ. მით უმეტეს შეუძლებელია ორიგინალი ტექსტის ესთეტიკური ღირებულებების გადმოტანა, რადგან მთარგმნელი ან თავისი გემოვნებისა და ენის ხარჯზე ორიგინალ ტექსტს ერთგულად უნდა მიჰყვეს, ან ზედმინუნით დაიცვას თავისი ერის ენის თავისებურებები ორიგინალი ტექსტის ხარჯზე.

ცნობილია უთარგმნელობის ან წარუმატებელი თარგმანის მაგალითები (ე.წ. თეთრი ლაქები თარგმანის კარტოგრაფიაში): პოეტური კულტურსპეციფიკური ტექსტები, რომელთა გაგებას გარკვეული ეთნოლოგიური ცოდნა სჭირდება ან ისეთი ენობრივი მოვლენები, როგორებიცაა: საკუთარი სახელები, სათაურები, სპეციფიკური რეალიები, ენობრივი თამაშები, დიალექტები, ონომოტოპოეტიკური

სიტყვები, რომელთა თარგმანი მხოლოდ მათი პარაფრაზირებით, აღწერით შეიძლება.

The scientific study of literary translation is mostly under the shadow of the theory of literature and the history of literary studies operating under the umbrella of particular philologies. Traditionally, since the 18th century, this practice has been characterized by translations defined per definitionem as reproductions of the original from an aesthetic perspective, often with a lower quality.

In recent decades, on the basis of globalisation and transnationalisation of European literary history, discussions focusing primarily on the transcultural openness of literary studies have emerged. One of the central concepts in this discourse is the “intrasystemic import and export of translation,~ in bilingual (eg: French and Flemish) and multilingual literary spaces.

It is known that through translation, active participation and interaction are fostered in both linguistic and cultural spheres, which represents a significant factor. Influence on the reader is an intercultural field of meaning, as the act of reading a translated text can lead to conclusions about the original text. Translation is primarily the interpretation of the source text, the expansion and deepening of its meaning potential.

The diachronic interest in the aesthetics of literary text reception shifted to the perception and understanding of diverse cultures and linguistic spaces. This is where traditional concepts and approaches differ from translational avant-garde. Both approaches emphasize different aspects within the spectrum: so-called adequate translation of the original and its autonomous adaptation.

As for the practice of translation, the modern conventional approach provides the basis for translational optimism

and allows for a comprehensive exploration of the issues of text translation and untranslatability, which held significant importance in the philosophy, theory, and poetics of the German language. Prominent figures such as Johann Gottfried Herder, Wilhelm von Humboldt, Friedrich Schleiermacher and even scholars from 20th century like Sapir Whorf and Walter Benjamin were engaged in the subject-matter. Differences in thought processes among people speaking different languages led to the skepticism of this science regarding translation processes, transferring content from one language to another. V. von Humboldt's attempt to translate Agamemnon led to the realization that not a single word of one language can have an identical counterpart in another language, due to the unique characteristics inherent to each language, which shape the expression of concepts differently. Therefore, it is nearly impossible to fully capture the aesthetic essence of the original text, as the translator must either faithfully follow the original text at the expense of his taste and language, or meticulously protect the peculiarities of his native language at the expense of the original text.

Examples of untranslatability or unsuccessful translation are known in the field of translation studies (commonly referred to as "white spots" in translation cartography). These are poetic culture-specific texts that require a certain ethnological knowledge or linguistic practices such as proper names, titles, specific realities, linguistic games, dialects, onomatopoeic words, which can only be translated through paraphrasing or describing.

შორენა შამანაძე
Shorena Shamanadze

ახალი “Weltliteratur” როგორც კულტურულ
იდენტობათა საერთაშორისო თარგმანი
The New “Weltliteratur” as an International
Translation of Cultural Identities

*თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
TSU Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

საკვანძო სიტყვები: ახალი მსოფლიო ლიტერატურა, საერთაშორისო
თარგმანი.

Keywords: the new “Weltliteratur”, international translation.

როგორც ვიცით, გოეთესათვის მსოფლიო ლიტერატურა (Weltliteratur) იყო ინტერნაციონალური კომუნიკაციისა და ურთიერთმიღების პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, თარგმანების მეშვეობითაა შესაძლებელი. დღევანდელი ტერმინოლოგიით, მთარგმნელი ახორციელებს კულტურათა *თახგმანს*, როგორც კულტურულ პრაქტიკას.

დღეს გოეთეს “Weltliteratur”-ის ცნება კიდევ უფრო გაფართოვდა. მწერლობამ გადალახა ნაციონალური მოდელები, შექმნა გეოგრაფიული და თვისობრივი (მენტალური, თემატური და ენობრივი პრაქტიკები) თვალსაზრისით შეცვლილი ლიტერატურული სამყარო. მსოფლიო ლიტერატურის უმთავრეს მახასიათებლად იქცა კულტურათაშორისი, ანუ „მესამე სივრცის“, არსებობა. ამ სივრცეს ქმნიან უმეტესად ტექსტები, რომლებიც იქმნება არა „ადგილზე“, არამედ საზღვარგარეთ, ან მასში ასახულია მიგრაციული თემები.

ზოგადად, მიგრაციული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურად მოაზრების სტიმული მოდის ჰომი ბაბას მიერ გოეთეს “Weltliteratur”-ის ახლებური აქტუალიზაციიდან. მისი აზრით, მსოფლიო ლიტერატურის შესწავლა შეიძლება იყოს შესწავლა იმისა, თუ როგორ ცნობენ კულტურები საკუთარ თავს „განსხვავებების“ მეშვეობით. თუკი მსოფლიო ლიტერატურის მთავარი თემა ოდესღაც ეროვნული ტრადიციების გადაცემა იყო, ახლა ლიტერატურული სამყაროს მთავარ პეიზაჟებად, შეიძლება იქცეს, მიგრანტთა ან პოლიტიკური ლტოლვილების ტრანსნაციონალური ისტორიები - მათი არსებობა ზღვართან და იქ არსებული პირობები. ხოლო თეორია ახალი “Weltliteratur”-ის შესახებ შეიმუშავა ელკე შტურმ-ტრიგონაკისმა. იგი მეცნიერებს სთავაზობს, ახალი პერსპექტივიდან განიხილონ მიგრაციული ლიტერატურის ადგილი და როლი კულტურათა გადაგანა/გადათახგმნის დინამიკურ პროცესში, რომელშიც კულტურული მეხსიერების დომინანტი, ასევე, იმაგო-

ლოგიის თანამედროვე ოპოზიციები, ნაციონალურის დისტანციიდან შეფასება ქმნის კულტურათა განსხვავებულობის წარმოჩენის ისეთ შესაძლებლობებს, როგორებიცაა:

- ეთნოკულტურულ მოდელთა თუ ტრადიციულ/თანამედროვე ფასეულობათა ოპოზიციების გამოკვეთა;

- მიგრაციისა და „მოძრაობის ვითარებაში“ კულტურული იდენტობის სუსტი და ძლიერი მხარეების შეცნობა და სხვ.

თუ როგორ აისახება მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები ქართულ მწერლობაზე, მის ინტერკულტურულ მოდელზე - ვისაუბრებთ ჩვენს მოხსენებაში.

As we know, for Goethe, world literature (Weltliteratur) was a process of international communication and mutual acceptance, which, first of all, takes place through translations. According to today's terminology, the translator carries out the translation of cultures as a cultural practice.

Today, Goethe's concept of "Weltliteratur" has been expanded even further. Writing transcended national models, creating a geographically and qualitatively (mental, thematic and linguistic practices) changed literary world. The existence of intercultural or "third space" has become the main characteristic of the world literature. This space is created mostly by texts that are not created "in place", but abroad, or that depict migration themes. We called this literature intercultural-migration writing.

The incentive to consider migration literature as a world literature comes from Homi Bhabha's new actualization of Goethe's Weltliteratur. According to him, the study of world literature can be a study of how cultures know themselves through "differences". Where the main theme of world literature was once the transmission of national traditions, now the main landscapes of the literary world can become the transnational stories of mig-

rants, or political refugees - their existence at the border and the conditions there. And the theory about the new “Weltliteratur” was developed by Elke Sturm-Trigonakis. It offers scholars to consider from a new perspective the place and role of migration literature in the dynamic process of transferring/translating cultures, where the dominant cultural memory, as well as the modern oppositions of imagology, the evaluation of the national from a distance creates opportunities to present the differences of cultures, such as:

- highlighting oppositions of ethno-cultural models or traditional/modern values;
- Getting to know the weak and strong sides of cultural identity in the situation of migration and “movement”, etc.

How the current processes in world literature affect Georgian writing, its intercultural model - will be discussed in our report.

ნინო წერეთელი
Nino Tsereteli

დისკუსია ფორმალიზმისა და ნატურალიზმის
შესახებ -1936 წელი
A Discussion about Formalism and Naturalism – 1936

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეჲბათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფორმალიზმი, ნატურალიზმი, დისკუსია.
Key words: formalizm, naturalism, discussion.

30-იანი წლებიდან ტერმინი „ფორმალიზმი“ გამოიყენება, როგორც დისკრედიტაციის აღმნიშვნელი სიტყვა იმ ლიტერატურულ ნაწარმოებებთან, ხელოვნების ნიმუშებსა თუ თეატრალურ დადგმებთან მიმართებით, რომლებიც ოფიციალურ დოქტრინას არ პასუხობდნენ. 1934 წელს, მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობის შემდეგ, საბჭოთა პოლიტიკის პრინციპების და იდეალების განსაკუთრებული პროპაგანდის პირობებში მთელი სიმწვავით გაჩაღდა ბრძოლა ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ. თვალში საცემია აღნიშნულ საკითხზე შესაშური ოპერატიულობით გამოქვეყნებული მონინავე სტატიები ამ დროის საბჭოთა პერიოდული პრესის ფურცლებზე.

1936 წელს მაქსიმ გორკის რეტროსპექტული ხასიათის საგაზეთო სტატია „ფორმალიზმის შესახებ“ იმავე წელს ითარგმნა და დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“, იმავედროულად, მწერალთა კავშირში გაიმართა დისკუსია „ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“.

1937 წელს ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ დაიბეჭდა პროლეტარული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, „პროლემაფის“ ერთ-ერთი ორგანიზატორის, ბენიტო ბუაჩიძის, ვრცელი წერილი - „ხალხურობის საკითხი საბჭოთა მწერლობაში /ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ/“. სტატია ეძღვნება მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიას. ავტორი იმ მწერალთა შორის, რომლებმაც განიცადეს ფორმალიზმის გავლენა, ასახელებს კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილს, დემნა შენგელაიას, გალაკტიონ ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს. სტატიის ავტორი საბჭოთა იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი მკვეთრი ტონით ცდილობს დისკუსიის გადმოცემას და სხვადასხვა „ფორმალისტურ გადახრაში“ შემჩნეული მწერლების გამოვლენას, თუმცა შედარებით ლოიალურია მათ

მიმართ, ვინც აღიარებს, რომ „ფორმალიზმის საშიშროება ყოველი მწერლისთვის არსებობს“. პაოლო იაშვილი თავის გამოსვლაში მიუთითებს, რომ „ფორმალისტურ ცოდვაში“ ბრალი მიუძღვის და სხვა პოეტებსაც ჰქონიათ „ფორმალისტური გადახრები“ (ტიციან ტაბიძეს, სიმონ ჩიქოვანს, ირაკლი აბაშიძეს და სხ). როგორც ბ. ბუაჩიძე აღნიშნავს, პაოლო იაშვილი აღიარებს, რომ მიუხედავად ფორმალისტური გადახრებისა, შეგნებული ფორმალისტი არ ყოფილა და ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა უნდა მოსპონ „ლიტერატურულ პროდუქციაში ფორმალიზმის და ნატურალიზმის რეციდივები“. პაოლო იაშვილმა აღნიშნულ დისკუსიაზე აღნიშნა, რომ „როცა პოეტი საკუთარ ლექსებზე წერს, აქ ერთგვარი კრიზისიც არის და ამ კრიზისს თავადაც განიცდის“. კრიტიკოსის დასკვნით – „პოეტი ახალ, სწორ შემოქმედებით გზას ადგას“.

დისკუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კრიტიკოს დ. დემეტრაძის მოხსენებას „ფორმალიზმის და ნატურალიზმის შესახებ“, რომელშიც მან ისაუბრა მნიშვნელოვანი ფორმალისტური გადახრების შესახებ კონსტანტინე გამსახურდიასა და სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში. პოეზიაში კი ამ თვალსაზრისით სიმონ ჩიქოვანის, ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის 1936 წლამდე შექმნილ პოეტურ ნიმუშებს შეეხო.

30-იან წლებში ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ არნახული მასშტაბები შეიძინა. ეს ბრძოლა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროზე გავრცელდა და მრავალი შემოქმედის ბედზე ტრაგიკულად აისახა.

Since the 1930s, the term “formalism” has been used as a word for discrediting those literary writings, works of art or theatrical performances which did not adhere to official doctrine.

After the first all-union Congress of the Writers’ Union in 1934, the struggle against formalism and naturalism launched with all its might under the conditions of intense propaganda of the principles and ideals of the Soviet policy. It is amazing with what a rapid pace the editorial articles on the mentioned subject appear on the pages of the Soviet periodical press of that period. In 1936, Maxim Gorky’s retrospective newspaper article “On Formalism” was translated and published in the literary magazine “Mnatobi” and in the same year a discussion “On Formalism and Naturalism in Georgian Soviet Literature” was held in the Writers’ Union.

Benito Buachidze, a well-known proletarian writer and one of the “Prolemaf” organizers, issued a lengthy article title “The issue of nationality in Soviet writing” (against formalism and naturalism) in the journal “Our Generation” (“Chveni Taoba”) in 1937. He names Konstantine Gamsakhurdia, Paolo Iashvili, Demna Shengelaia, Galaktion Tabidze, and Valerian Gaprindashvili among the writers who were influenced by formalism. Generally, the article is devoted to the discussion held in the Writers’s Union

The author tries to convey the discussion by identifying the writers who exhibit various “formalist deviations” in a severe manner typical of Soviet ideology, whereas he is relatively loyal to those who recognize that “the danger of formalism exists for every writer”. In his speech, Paolo Iashvili, emphasizes that he is guilty of “formalistic sin” and other poets also had “formalistic deviations” (Titsian Tabidze, Simon Chikovani, Irakli Abashidze, etc.). According to B. Buachidze, Paolo Iashvili acknowledges that despite formalistic deviations, he has not been a deliberate

formalist and Georgian poets and writers should get rid of “recurrences of formalism and naturalism in literary production”.

As B. Buachidze maintains, Paolo Iashvili admits that despite formalistic deviations, he is not a conscious formalist, and Georgian poets and writers should eliminate “recurrences of formalism and naturalism in literary works”.

Paolo Iashvili noted at the mentioned discussion that “when a poet writes about his own poems, a kind of crisis arises and he himself experiences this crisis”. The critic concluded that “the poet embarks on a new, correct creative path”.

A significant part of the discussion was devoted to the critic D. Demetradze’s report “On formalism and naturalism”, where he talked about important formalistic deviations in the works of Konstantine Gamsakhurdia and Sergo Kldiashvili. As to the poetry, he mentioned the works of Simon Chikovani, Titsian Tabidze and Giorgi Leonidze written before 1936.

In the 1930s, the struggle against formalism and naturalism reached unprecedented proportions, covering all areas of literature and art, and had a tragic effect on the fate of many creators.

თამარ ქუმბურიძე
Tamar Tchumburidze

რილკეს რამდენიმე ლექსის ქართული თარგმანები
The Georgian Translations of Several Poems by Rilke

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhsishvili Tbilisi State University
ჰუმანიტაჲ მეცნიეეებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: პოეზია, ინტერპრეტაცია, თარგმანმცოდნეობა.
Keywords: poetry, interpretation, translation studies.

დალი ფანჯიკიძის დამსახურება **ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის წინაშე** ძალიან დიდია. მისი თარგმანების შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ისინი შექმნილია დედნის სიღრმისეული ანალიზის შედეგად, განსხვავებული სტილური ხერხების მეშვეობით, სწორუპოვარი ოსტატობით. ამავე დროს, მისი დამსახურება მხოლოდ გერმანულენოვანი ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნით არ შემოიფარგლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები თარგმანთმცოდნეობის დარგში: „ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები“, „ენა, თარგმანი, მკითხველი“, „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“, რომლებშიც ბევრი საჭირობოროტო პრობლემაა წამოჭრილი და განხილული. სპეციალური თავი მიუძღვნა დ. ფანჯიკიძემ პოეზიის თარგმნის სტილისტიკასა და ქართული პოეტური თარგმანის განვითარების ტენდენციებს.

პოეტური თარგმანი, საერთოდ, განსაკუთრებული განხილვის სფეროა და მას ბევრი ენათმეცნიერი, მთარგმნელი თუ ლიტერატორი შეეხებია. ზოგის აზრით, პოეზიის თარგმნა საერთოდ შეუძლებელია. იმასაც აღნიშნავენ, რომ პოეტური ნაწარმოების თარგმნისას ხშირია თავისუფალი ინტერპრეტირების ტენდენცია და პოეტის მიერ ნათარგმნ ლექსებს მთარგმნელის სტილის კვალი უფრო ემჩნევა, ვიდრე ავტორისა. შინაარსის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია ფორმის დაცვა, რის გარეშეც ლექსის ემოციური და ესთეტიკური მხარე ვერ შენარჩუნდება. ურითმო ლექსს თუ არ ჩავთვლით, რითმის, რიტმის, მუსიკალურობის გადმოტანა ერთი ენიდან მეორეზე განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის. ამდენად, შეიძლება დავეთანხმოთ კიდევ ცნობილი ფრანგი ლიტერატორისა და მთარგმნელის, ივ ბონეფუას, მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „პოეზიის თარგმანი ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე მყოფი რამაა და მხოლოდ მაშინ შეიძლება კარგი გამოვიდეს, თუ

მთარგმნელისა და პოეტის სულიერი სამყაროები მეტად ახლოსაა ერთმანეთთან“.

დალი ფანჯიკიძე თავის წერილებში ხშირად განიხილავს გოეთეს, რილკესა და სხვა გერმანელი ავტორების ქართულად ნათარგმნ ლექსებს. პოეზიის თარგმანების სტილისტიკაზე მსჯელობისას იგი ეხება ქართულ თარგმანებს გოეთეს მცირე ზომის ლექსისა „მგზავრის ღამის სიმღერა“, (რომლის ათეულობით თარგმანი არსებობს ქართულ ენაზე, მათ შორის თვითონ ქალბატონი დალი ფანჯიკიძისაც) და, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ეს ყველაზე ხელსაყრელი მასალაა საერთოდ თარგმანთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობისათვის, უფრო იოლია ობიექტური დასკვნების გამოტანა. მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებები უთუოდ გასათვალისწინებელია როგორც მთარგმნელებისათვის, ისე თარგმანის პრობლემებით დაინტერესებული ლიტერატორებისათვის.

მეც ქალბატონი დალის მეთოდი გავიზიარე და ჩემს მოხსენებაში ზოგიერთი გერმანული ლექსის რამდენიმე თარგმანს განვიხილავ. ესენია: რილკეს შემოქმედების შედეგები, მისი ლექსები „შემოდგომა“ (Herbstgedicht) და „შემოდგომის დღე“ (Herbsttag), რომლებიც სხვადასხვა დროს თარგმნილი აქვთ ცნობილ ქართველ მთარგმნელებს, ამ საქმის დიდოსტატებს: თამაზ ჩხენკელს, ვახუშტი კოტეტიშვილს, რუსუდან ღვინეფაძეს, ანდრო ბუაჩიძეს და პაკო (ამირან) სვიმონიშვილს. რილკეს ამ ლექსების მათ მიერ შესრულებულ თარგმანებზე დაკვირვებისას გამოჩნდა, თუ რამდენად ზუსტადაა გადმოტანილი პოეტის სულიერი სამყარო, ლექსის განწყობა თითოეულ თარგმანში, რა შენარჩუნდა ან რა დაიკარგა აზრის, მუსიკალობის, მეტრულ-რიტმული სტრუქტურის, რითმების გამოყენების თვალსაზრისით, რისი შენარჩუნება შეძლო მთარგმნელმა - ინტერპრეტატორმა და რა დათმო, შენარჩუნდა თუა არა ტროპები და ის სტილისტური თავისებურებები, რომლებიც დამახასია-

თებელია რილკეს პოეზიისთვის საერთოდ, და, კერძოდ, ამ პოეტური ნიმუშებისათვის. ამავე დროს, ამ თარგმანების დედანთან და ერთმანეთთან შედარებისას ჩანს თითოეული მთარგმნელის მუშაობის სტილი და პრინციპები. ჩანს, აგრეთვე, პოეტი-მთარგმნელების (მათი პოეზიისათვის დამახასიათებელმა) სტილმა იქონია თუ არა გავლენა თარგმანის ენაზე, თუ საკუთარი უკანაა გადაწეული, რათა ავტორის სტილზე არ ემოქმედა.

Dali Panjikidze has made a huge contribution to the Georgian literary translation. Numerous scholars have noted that her translations are based on a thorough analysis of the original texts. She makes use of diverse stylistic devices and has unique skills of translation. Her contribution is not restricted to the translation of the best works of German-language literature. Dali Panjikidze's works in the field of translation theory are no less important ("Issues of the History of Georgian Translation", "Language, Translation, Reader", "New Theories of Translation and the Problem of Stylistic Equivalence"). These works raise and analyze numerous topical issues. Dali Panjikidze dedicated a special chapter to the stylistic aspects of poetic translation and the tendencies of development of the Georgian poetic translation.

In general, poetic translation is a specific field analyzed by numerous linguists, translators and specialists in literature. According to some scholars, it is totally impossible to translate poetry. These scholars note that poetic translation is often accompanied by the tendency of free interpretation, and translated poems reveal the translator's style rather than the author's. Apart from the content, poetic translation largely depends on the preservation of form, without which it is impossible to preserve the emotional and aesthetic aspects of the poem. The transfer of rhythm, rhyme and melody from one language into another creates special difficulties. Thus, we may agree with an outstanding French literary historian

and translator Yves Bonnefoy who notes: "Translation of poetry is on the edge of human capability and can be appropriate only if the spiritual worlds of the translator and the poet are extremely close to each other".

In her letters, Dali Panjikidze often analyzes the Georgian translations of poems by Goethe, Rilke and other German authors. When discussing the stylistics of poetic translation, in one of the letters, she focuses on the Georgian translations of Goethe's verse "Wanderer's Nightsong". There are dozens of Georgian translations of this verse (including the translation made by Dali Panjikidze herself). As she notes, this verse yields rich material for analyzing translation-related problems, since it enables a scholar to draw objective conclusions. The opinions expressed by D. Panjikidze in this and other works are extremely important and should be taken into account by translators and literary historians interested in the issues of translation.

The method used by D. Panjikidze has been extremely useful for me as well. In this regard, the paper focuses on the analysis of the Georgian translations of Rilke's masterpiece poems "Autumn" (Herbstgedicht) and "Autumn Day" (Herbsttag). These poems were translated at different times by outstanding Georgian translators: Tamaz Chkhenkeli, Vakhushti Kotetishvili, Rusudan Ghvinepadze, Andro Buachidze and Pako (Amiran) Svimonishvili. Analysis of these translations has made it possible to find out how exactly the poet's spiritual state and the poem's mood are transferred into Georgian; what is preserved and what is lost with reference to the idea, melody, metric-rhythmical structure and rhyme; what has been preserved by the translator-interpreter and what he/she had to compromise; has the translator been able to preserve the original stylistic devices and peculiarities of Rilke's style in general. Comparison of the above-mentioned translations and the original text has revealed the working styles and principles of each of the translators listed above.

სარჩევი/ CONTENTS

მარინა ანდრაზაშვილი

Marina Andrazashvili

| | |
|--|---|
| უარყოფითად კონოტირებული საკუთარი სახელები და მათი ტრანსფერი..... | 3 |
| Proper Names of Negative Connotation and the Issue of their Transfer | 3 |

დავით ბარბაქაძე

Davit Barbakadze

| | |
|---|----|
| ფილოსოფიური პოეზიის ტოტალური ავტონომიზაცია: რ. მ. რილკე..... | 10 |
| The Total Autonomisation of Philosophical Poetry:_R. M. Rilke.. | 10 |

ნაირა ბეპიევი

Naira Bepiev

| | |
|---|----|
| საკუთარ სახელთა თარგმანის სპეციფიკისათვის ნართების ეპოსში..... | 14 |
| For the Specifics of the Interpretation of Proper Names in the Nart Epic..... | 14 |

ლევან ბრეგაძე

Levan Bregadze

| | |
|--|----|
| ადეკვატურობის პრობლემა თარგმანში (თომას მანის რომანის “ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღსარების” დალი ფანჯიკიძისეული თარგმანის მიხედვით)..... | 17 |
| Adequacy Problem in Translation (According to the Translation of Thomas Mann’s Novel “Confessions of Felix Krull, Confidence Man”_by Dali Panjikidze)..... | 17 |

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

- სამყაროს სოცრეალისტური ხედვის ერთი
თავისებურება: მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია20
One of the Features of the Social Realist Perspective of the
World: the Writer is an Engineer of the Human Soul20

ციური გვენეტაძე

Tsiuri Gvenetadze

- ქართველები წმინდა მიწაზე „იერიქონის ვარდების“
მიხედვით..... 25
Georgians on the Holy Land according to “Jericho Roses” 25

ელენე გოგიაშვილი

Elene Gogiashvili

- „აგნეტე და ზღვის კაცი“_XIX საუკუნის დანიურ
ფოლკლორსა და ლიტერატურაში28
Agnete and the Merman_in the 19th-century Danish
Folklore and Literature 28

გერტ რობერტ გრიუნერტი

Gert Robert Grünert

- მხატვრული ლიტერატურის ქართულიდან გერმანულად
თარგმნის თავისებურებები..... 31
Peculiarities of Translating Fiction from Georgian to German.... 31

ნინო დოლიძე

Nino Dolidze

- სიურრეალიზმი, როგორც თავშესაფარი..... 34
Surrealism as a Shelter..... 34

ლელა ებრალიძე

Lela Ebralidze

- ლიტერატურული ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა
(ინგლისური და ქართული ენების ბაზაზე)38

The Specifics of Translation of Fairy Tales (On the basis of English and Georgian languages)38

არპად ელუში

Árpád Éles

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი უნგრული თარგმანი ეპოსური ტრადიციის კუთხით უნგრულ ლიტერატურაში..... 45
Hungarian Epic Traditions in the First Translation of *The Knight of the Panther’s Skin* 45

თამარ ვეფხვაძე

Tamar Vepkhvadze

პროტესტანტიზმი, როგორც ახალი „ევროპეიზმი“, „გარდამავალი ხანის“ ქართულ მწერლობაში 47
Protestantism as a New “Europeanism” in the Georgian Writing of the “Transitional Period” 47

დარეჯან თვალთვაძე

Darejan Tvaltvadze

პარატექსტები გიორგი მთაწმინდლის რედაქციის ოთხთავის ხელნაწერებში 56
Paratexts in the Gospel Manuscripts of George the Hagiorite’s Recension 56

ინესა მერაბიშვილი

Innes Merabishvili

სიტყვის ლინგვისტური ხატი დედანსა და თარგმანში 60
Linguistic Image of a Word in the Original Text and its Translation 60

მარიამ მირესაშვილი

Mariam Miresashvili

ლიტერატურული იმაგოლოგია: ევროპისა და ევროპელების აღქმა პოსტკოლონიურ ქართულ ლიტერატურაში 66

Literary Imagology: Perception of Europe and Europeans in
Postcolonial Georgian Literature.....66

თინათინი მოსეშვილი

Tinatini Moseshvili

გივი მარგველაშვილის პოეტოლოგია..... 70

Poetology of Givi Margvelashvili..... 70

სოფიო მუჯირი

Sophie Mujiri

ცალმხრივი თანმიმდევრული თარგმნის პრობლემები 76

The Problems of Unilateral Subsequent Translation..... 76

ნინო ნასყიდაშვილი

Nino Naskidashvili

უკრაინული წითელი რენესანსი და ხარკოვის

ლიტერატორთა სახლი “სიტყვა”80

Ukrainian “Red Renaissance” and Kharkiv Literary House

“Slovo”80

ნათია ნემსაძე

Natia Nemsadze

სასამართლო ლინგვისტიკა, როგორც ლინგვისტური

კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულება..... 84

Forensic Linguistics as an Important Field of Linguistics

Research..... 84

ელისო ოდიკაძე

Eliso Odikadze

ენისა და პოეზიის მიმართება ჰაიდეგერის

ფილოსოფიურ კონცეფციაში90

Relation between the Language and Poetry in the

Philosophical Conception of Heidegger90

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

თანამედროვე პოეტური ენის თავისებურებები:
ვიზუალური და მინიმალისტური ლიტერატურა..... 96
Peculiarities of Modern Poetic Language: Visual and
Minimalist Literature 96

მანანა რუსიეშვილი

Manana Rusieshvili

თარგმანის სოციოლინგვისტური და იდეოლოგიური
ასპექტები 100
Sociolinguistic and Ideological Aspects of Translation..... 100

მარიამ ფილინა

Mariam Filina

იულიან ტუვიმი - რუსთაველის პოემის მთარგმნელი..... 103
Julian Tuwim - Translator of Shota Rustaveli’s Poem..... 103

მანანა ქაჯაია

Manana Kajaia

გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი მასალა გიორგი წერეთლის
გარდაცვალებასთან დაკავშირებით..... 108
The Material Published in the Newspaper “Kvali” on the
Death of Giorgi Tsereteli..... 108

ლალი ქეცბა-ხუნდაძე

Lali Ketsba-khundadze

თარგმანი, როგორც ამოსავალი ტექსტის
ინტერპრეტაცია 112
Translation as the Interpretation of the Source Text 112

შორენა შამანაძე

Shorena Shamanadze

ახალი “Weltliteratur” როგორც კულტურულ იდენტობათა
საერთაშორისო თარგმანი 117
The New “Weltliteratur” as an International Translation of
Cultural Identities..... 117

ნინო წერეთელი

Nino Tsereteli

დისკუსია ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ -
1936 წელი121
A Discussion about Formalism and Naturalism – 1936.....121

თამარ ჭუმბურიძე

Tamar Tchumburidze

რილკეს რამდენიმე ლექსის ქართული თარგმანები..... 126
The Georgian Translations of Several Poems by Rilke 126

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
2023 წელი

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0128
Tel +995 (32) 225 04 84, 6283
www.press.tsu.edu.ge



უნივერსიტეტის
გამომცემლობა